

4

# ქართული გრამატიკა

პირველდაწყებითი სკოლებისათვის

ხილოვან ხუნდაძის მიერ

შედგენილი

შეათხე გამოცემა.



გამომცემლობა „მერანი“

ქ. ქუთაისი  
ი. მ. ხუნდაძის სტამბა.  
1919



# ქართული გრამატიკა

პირველდაწყებითი შკოლებისათვის

სილოვან ხუნდაძის მიერ

შედგენილი.

31185

მეტოხე გამოცემა.



ქ. ქუთაისი  
 0. მ. ხელაძის სტამბა,  
 9191

ხ მ ე ბ ი; ა ნ ბ ა ნ ი.

სიტყვა სხვადასხვა ხმის საშუალებით გამოითქმის: მ-ა-მ-ა, დ-ე-დ-ა, ს-ა-ხ-ლ-ი, პ-უ-რ-ი.

ხმები ადამიანის სამეტყველო ორგანოებით გამოითქმის: ბაგით, კბილით, ხორხით, სასით, ენით.

ბაგით გამოითქმის ბ, ვ, ჰ, ფ — და ამათ ეწოდებათ ბაგისმიერი ხმები;

დ, თ, ტ კბილისმიერი ხმებია;

გ, კ, ჰ, ლ, შ, ჰ ხორხისმიერი ხმებია, — და სხვ.

ხმების გამომხატველ საწერ ნიშნებს ასოები ეწოდება.

ქართულ ანბანში ოცდაცამეტი ასოა:

აი მათი რიგი და სახელწოდება:

ა	ან	ბ	ბან	გ	გან
დ	დონ	ე	ენ	ვ	ვინ
ზ	ზენ	თ	თან	ი	ინ
კ	კან	ლ	ლას	მ	მან
ნ	ნარ	ო	ონ	პ	პარ
რ	რე	ს	სან	ტ	ტარ
უ	უნ	ფ	ფარ	ქ	ქან
ც	ცან	ძ	ძან	ჭ	ჭან
ყ	ყან	ჯ	ჯან	ჰ	ჰან
ღ	ღან	წ	წან	ჩ	ჩან
ცხ	ცხან	ცვ	ცვან	ცქ	ცქან
ცღ	ცღან	ცწ	ცწან	ცჭ	ცჭან
ცჰ	ცჰან	ცჭ	ცჭან	ცჭ	ცჭან

ხმები ა, ე, ი, მ, უ თავისთავათ ხმამაღლა გამოითქმის — და ამიტომ ხმოვანი ხმები ეწოდებათ: დანარჩენი ხმები, მაგალითად: ბ, გ, დ, ვ და სხვ.

თავისთავით ყრუთ გამოთქმის; ხმამალლა, თავისუფალი ხმით მათი გამოთქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათ თან ერთერთი ხმოვანი ახლავს, მაგალითად: ბა, ბე, ბი, ბო, ბუ, ბა, ბე, ბი, ბო, ბუ და სხვ.; ამიტომაც ამ ხმებს თანხმოვანი ხმები ეწოდება.

(ჩამოთვალეთ ყველა თანხმოვანი ხმა რიგზე).

**შენიშვნა.** ჩვენს ანბანში ძველად კიდევ შემდეგ ასოებს ხმარობდნენ: ც, ძ, ჯ, კ, ზ, ჟ. — ანბანი ძველათ ანგარიშისთვისაც იხმარებოდა.

ა — 1	იგ — 13	ე — 60	შ — 900
ბ — 2	იდ — 14	ო — 70	ჩ — 1000
გ — 3	იე — 15	პ — 90	ც — 2000
დ — 4	ივ — 16	ყ — 00	ძ — 3000
ე — 5	იზ — 17	რ — 100	წ — 4000
ვ — 6	იც — 18	ს — 200	ჭ — 5000
ზ — 7	ით — 19	ტ — 300	ხ — 6000
ც — 8	კ — 20	უ — 400	კ — 7000
თ — 9	კა — 21 ღ სხ	ფ — 500	ჯ — 8000
ი — 10	ლ — 30	ქ — 600	ჰ — 9000
ია — 11	მ — 40	ღ — 700	ყ — 10,000
იბ — 12	ნ — 50	ყ — 800	და სხვ.

**ს ი ტ უ ვ ა .**

სხვადასხვა ხმისაგან სიტყვა შედგება, — მაგალითად: ხე, ბაღი, წერა, კითხვა, დასწერეს, წაიკითხეს, ხეზე, ბაღში.

**სიტყვის შედგენილობა.**

პვილოთ, მაგალითად, სიტყვა ბალახი. საუბარში ამ სიტყვას შეიძლება ან თავში მივმატოვს

რაიმე ნაწილაკი, ან ბოლოში, ან თავშიც და ბოლოშიც; მაგალითად: ჩვენ საბალახე ადგილი გვაქვს, მე ბალახში ვიჯექი, ბავშები საბალახესთან თამაშობენ.

სიტყვებს თავში შემდეგი ნაწილაკები (თავსართები) დაერთვის: სპ, სი, ა (სრულათ აღ), გა (გან), და, წა (წარ), შმ, ში, შო, ჩა (შთან), — მაგალითად: სასწორი, სისწორე, აღდგომა, აშენება, განცხადება, გაკეთება, დაწერა, წაკითხვა, წარჩინებული, შმხედვა, შიტანა, შოტანა, ჩაწერა,

ბოლოში სიტყვებს შემდეგი ნაწილაკები (თანდებულები) ერთვის ხოლმე: თვის, კან, ღმი, გან, თან, ში, ზმ, — მაგალითად: საქმისთვის, ქალაქისკან, ღვთისაღმი, კაცისგან, ტყესთან, წყალში, ხეზე.

პვიღოთ სიტყვა, მაგალითად, გულკეთილი; ეს სიტყვა ორი ნაწილისგან შედგება: გული + კეთილი, ესე იგი ამ გძელ სიტყვაში ორი მოკლე, ორი მარტივი სიტყვაა შეერთებული, და ამიტომ რთული სიტყვა ეწოდება. აი კიდევ რთული სიტყვები: თავდაბალი, ფეხმარდი, შავთვალა, დედამა, და-ძმა, სახელგანთქმული, ჯვარცმული, გულმხურვალე.

(რადარა მარტივი სიტყვისაგან შედგება თითოეული აქ ჩამოთვლილი რთული სიტყვა? კიდევ დასახელები რთული სიტყვების რამდენიმე მაგალითი)

მ ა რ ც ვ ა ლ ი.

შოველ სიტყვაში არის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, აგრეთვე ხშირათ ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი ხმა:

ხე, კაცი, ბუხარი, მონადირე.

თითოეულ სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც შიგ ურევია; მაგალითად: სიტყვა ხე ერთმარცვლოვანია, კაცი—ორმარცვლოვანი (კა-ცი), ბუხარი—სამმარცვლოვანი (ბუ-ხა-რი), მონადირე—ოთხმარცვლოვანი (მო-ნა-დი-რე).

**შენიშვნა.** სიტყვაში ხმოვანი უთუოთ უნდა იქნეს, თანხმოვანი კი შეიძლება არ იყოს, მაგალ.: მა, ში, აი და სხვ.

### ს ი ტ ყ ვ ე ზ ი ს ღ ა გ ა რ ც ვ ლ ა

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთნის. ავიღოთ სიტყვა ბალი: თანხმოვანი ლ ხმოვანს ი-ს ეკუთნის და მასთან ცალკე მარცვალს ლი-ს შეადგენს (ბა-ლი).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ორი თანხმოვანია, ერთი წინა ხმოვანს ეკუთნის, და მეორე იმ ხმოვანს, რომლის წინაც ზის: ბავ-ში, კოვ-ზი, ქარ-თუ-ლი.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ სამი ან მეტი თანხმოვანია, უკანასკნელი თანხმოვანი იმ ხმოვანს ეკუთნის, რომლის წინაც ზის, დანარჩენი თანხმოვანი კი წინამომდევარ ხმოვანს ეკუთნის და მასთან ცალკე მარცვალს შეადგენს:

სეტყ-ვა, ჭარტ-ყი, სა-ვარც-ხა-ლი.

თუ სიტყვა თავსართიანია ან რთულია, მაშინ თავსართები და რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილები ცალკე უნდა ვიანგარიშოთ:

გა-სწო-რე-ბა, აღ-დგო-მა, სა-ბძა-ნე-ბე-ლი, და-ძმა, შავ-თვალ-წარ-ბა, ხელ-მწი-ფე.

ღამარცვლეთ შემდეგი სიტყვები: კადნიერი, ბედნიერი, გულწრფელი, საოცარი, სახელმწიფო,

საკუთრება, განსაკუთრებული, განთქმული, თოვლიანი, წინააღმდეგობა, საგრძნობელი, სამგვარი, შეშლილი, თვალცრემლიანი, სამკურნალო, სასმელ-საჭმელი.

ს ა გ ა ნ ი .

შველაფერს, რასაც თვალით ვხედავთ, ან ხელით შევხებით, ან გონებით წარმოვიდგენთ, — ქვია საგანი, — მაგალითად: მთვარე, ბალახი, ანგელოზი.

ზოგ საგანს თავისი ნებით შეუძლია მოძრაობა, მაგალითად — კაცს, თევზს, ფრინველს: — ამისთანა საგანს სულიერი საგანი ეწოდება; — ზოგიერთს კი თავისი ნებით მოძრაობა არ შეუძლია, მაგალითად — ქვას, ხეს, სახლს: — ამისთანა საგანს უსულიო საგანი ეწოდება; — ზოგიერთი საგანი, — მაგალითად: ღმერთი, ფიქრი და სხვ. — მხოლოდ აზრით, მხოლოდ გონებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თვალით კი ვერ დავინახავთ და ხელით ვერ შევხებით; — ამისთანა საგანი ჩვენგან შორს არის გამდგარი, განყენებულია — და ამიტომ განყენებითი საგანი ეწოდება. **პი კიდევ რამდენიმე განყენებითი საგანი: ანგელოზი, სული, აზრი, ჭკუა, გრძნობა, მწუხარება, ბოროტება, სიკეთე, სიხარული, ბედნიერება.**

(დაასახელოთ კიდევ რამდენიმე სულიერი, უსულიო და განყენებითი საგანი).

\*

სხვადასხვა საგანს სხვადასხვა სახელი ქვია; ყოველივე საგნის სახელს არსებითი სახელი ეწოდება, — მაგალ. ვარსკვლავი, კაცი, ფრინველი, ანგელოზი, ხე, ტყე, ჰაერი — და მზგავსი სახელე-



ბი არსებითი სახელებია.

სახელი არსებითი სამგვარია:

საქართველი (ბიორგი, თფილისი, ძართლი).

საზოგადო (კაცი, ქალაქი, მხარე) და

ბრუნებითი (ჯარი, ხალხი, ჯოგი, ფარა, გუნდი).

იმისთანა სახელს, რომელიც საგნის სიპატარავს გვიჩვენებს, კნინობითი სახელი ქვია: ჩიტუნია, გოგონა, ვირიკა, კატუნია, მანო, სანდრო.

კნინობითი სახელი ორგვარია: მოფერებითი (მანო, სანდრო, მიხაკო, მიხიკო) და დამცირებითი (მანოია, სანდროია, ივანიკა, მიხელია).

სახელი არსებითი საუბარში სხვადასხვა განსხვავებულ დაბოლოებას მიიღებს, — მაგალითად: ტრედნი ხეზე შემოჯდა, მონადირემ ტრედნის მოკვლა მოინდომა, ტრედს ტყვია მოხვდა, ტრედმა სული დალია და სხვ.

სხვადასხვა დაბოლოებით სახელების ცვალებას ბრუნება ქვია. *ბრუნება*

სახელი შვიდნაირი ფორმით იბრუნვის, — თითოეულ ფორმას ბრუნვა ქვია, ასე რომ სულ შვიდი ბრუნვაა:

- |                         |                         |
|-------------------------|-------------------------|
| 1. სახელობითი: ბავშ-ი   | 4. მოთხრობითი: ბავშ-მა  |
| 2. ნათესაობითი: ბავშ-ის | 5. მოქმედებითი: ბავშ-ით |
| 3. მიცემითი: ბავშ-ს     | 6. ვნებითი: ბავშ-ათ     |
| 7. წოდებითი: ბავშ-ო!    |                         |

\*

ბრუნვები კითხვებით გამოიკნობა, — მაგალითად: ბავშის წიგნი მთელია, ბავშს წიგნი უყვარს, ბავშმა წიგნი კარგათ ისწავლა: —

ვისი წიგნია მთელი? — ბავშის;

ვის უყვარს წიგნი? — ბავშს;

ვინ ისწავლა წიგნი კარგათ?—ბავშმა.

ძითხვა ვინ ლეთისა და ადამიანის შესახებ იხმა-  
რება, დანარჩენი საგნების შესახებ. კი იხმარება  
კითხვა რა:—

ვინ შექმნა ქვეყანა?—ღმერთმა.

ვინ მოდის?—ქალი.

ვისი წიგნია ეს?—ყმაწვილის.

ვის უყურებ შენ?—მხედარს. *ხედარი*

რა მირბის?—ხარი. *მირბის ხარი*

რის ტყავია ეს?—დათვის. *დათვის ტყავი*

რას აშენებენ?—სახლს. *სახლი*

რამ გაიდგა ფესვი?—მუხამ.

*ფესვი მუხამ*

რიცხვი ორია: მხოლოდობითი რიცხვი, როცა  
ერთ საგანზეა ლაპარაკი, მაგალითად სახლი, და  
მრავლობითი რიცხვი, როცა ბევრ საგანზეა საუბა-  
რი, მაგალითად სახლები.

### არსებით სახელთა ბრუნება

#### მხოლოდობითი რიცხვი.

1.

სახ. ვინ?—ძმა

ნათ. ვისი?—ძმის

მიც. ვის?—ძმას

მოდ. ვინ?—ძმამ

მ. მ. ვისდრ?—ძმით

მ. ე. რათ?—ძმათ

წოდ. ვინ?—ძმაო!

რა?—კატა

რის?—კატის

რას?—კატას

რამ?—კატამ

რით?—კატით

რათ?—კატათ

რა?—კატაო!

*მ. მ. ვისდრ?*

*მ. ე. რათ?*

2.

სახ. ვინ? — მოწმე  
 ნათ. ვისი? — მოწმის  
 მიც. ვის? — მოწმეს  
 მთ. ვინ? — მოწმემ  
 მქ. ვისით? — მოწმით  
 მნ. რათ? — მოწმეთ  
 წოდ. ვინ? — მოწმეო!

რა? — კლდე  
 რის? — კლდის  
 რას? — კლდეს  
 რამ? — კლდემ  
 რით? — კლდით  
 რათ? — კლდეთ  
 რა? — კლდეო!

3.

სახ. ვინ? — ბავში  
 ნათ. ვისი? — ბავშის  
 მიც. ვის? — ბავშს  
 მთ. ვინ? — ბავშმა  
 მქ. ვისით? — ბავშით  
 მნ. რათ? — ბავშათ  
 წოდ. ვინ? — ბავშო!

რა? — იხვი  
 რის? — იხვის  
 რას? — იხვს  
 რამ? — იხვმა  
 რით? — იხვით  
 რათ? — იხვათ  
 რა? — იხვო!

4.

სახ. ვინ? — გოგო  
 ნათ. ვისი? — გოგოსი  
 მიც. ვის? — გოგოს  
 მთ. ვინ? — გოგომ  
 მქ. ვისით? — გოგოთი  
 მნ. რათ? — გოგოთ  
 წოდ. ვინ? — გოგო!

რა? — რკო  
 რის? — რკოსი  
 რას? — რკოს  
 რამ? — რკომ  
 რით? — რკოთი  
 რათ? — რკოთ  
 რა? — რკოო!

5.

სახ. ვინ? — ყრუ  
 ნათ. ვისი? — ყრუსი  
 მიც. ვის? — ყრუს  
 მთ. ვინ? — ყრუმ

რა? — ბუ  
 რის? — ბუსი  
 რას? — ბუს  
 რამ? — ბუმ

მქ. ვისით? — ყრუთი  
 ვ. რათ? — ყრუთ  
 წ. ვინ? — ყრუო!

რით? — ბუთი  
 რათ? — ბუთ  
 რა? — ბუო!

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი .

1.

2.

3.

ს. ძმ-ებ-ი	მოწმე-ებ-ი	ბავშ-ებ-ი
ნ. ძმ-ებ-ის	მოწმე-ებ-ის	ბავშ-ებ-ის
მც. ძმ-ებ-ს	მოწმე-ებ-ს	ბავშ-ებ-ს
მთ. ძმ-ებ-მა	მოწმე-ებ-მა	ბავშ-ებ-მა
მქ. ძმ-ებ-ით	მოწმე-ებ-ით	ბავშ-ებ-ით
ვ. ძმ-ებ-ათ	მოწმე-ებ-ათ	ბავშ-ებ-ათ
წ. ძმ-ებ-ო!	მოწმე-ებ-ო!	ბავშ-ებ-ო!

4.

5.

გოგონა

ს. გოგო-ებ-ი	ყრუ-ებ-ი
ნ. გოგო-ებ-ის	ყრუ-ებ-ის
მც. გოგო-ებ-ს	ყრუ-ებ-ს
მთ. გოგო-ებ-მა	ყრუ-ებ-მა
მქ. გოგო-ებ-ით	ყრუ-ებ-ით
ვ. გოგო-ებ-ათ	ყრუ-ებ-ათ
წ. გოგო-ებ-ო!	ყრუ-ებ-ო!

მრავლობით რიცხვში სახელები მეორეგვარი დაბოლოებითაც იბრუნვის: ძმანი, კატანი, მოწმენი, კლდენი, ბავშნი, იხვნი, გოგონი, რკონი, ყრუნი, როცა სახელი მრავლობით რიცხვში მეორე დაბოლოებით იბრუნვის, ორი ბრუნვა არ იხმარება, სახელდობ: მოქმედებითი და ვნებითი, და სამი ბრუნვა (ნათ., მიც. და მოთხრ.) ერთნაირი აქვს.

შეორე დაბოლოების მრავლობითი რიცხვი:

ს. ძმანი, კლდენი, ბავშნი, რკონი, ბუნი.

ნ.	}	ძმათა, კლდეთა, ბავშთა, რკოთა, ბუთა.
მც.		
მთ.		

მქ. — — —

მ. — — —

წ. ძმანო! კლდენო! ბავშნო! რკონო! ბუნო!

### შენიშვნები ბრუნვების შესახებ.

1. არსებითი სახელების დაბოლოებანი არიან: ა, ე, ი, ო და უ (მამა, ხე, კაცი, რკო, ბუ).

2. ა-ზე დაბოლოებული სახელები მხოლოდობით რიცხვში მარტო ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში კარგავს ა-ს, მრავლობითში კი — ყოველგან (ნახეთ წინ მაგალითები: ძმა, კატა).

3. ე-ზე დაბოლოებული სახელები მარტო მხოლოდობითი რიცხვის ორ ბრუნვაში, სახელდობ ნათესაობითსა და მოქმედებითში, კარგავს ე-ს; მრავლობით რიცხვში კი ე არ იკარგება არცერთ ბრუნვაში (ნახეთ წინ მაგალითები: მოწვე, კლდე).

4. ო-სა და უ-ზე დაბოლოებული სახელები არსად არ კარგავს ო-სა და უ-ს (ნახეთ წინ მაგალითები: რკო, ყრუ, ბუ), გარდა სიტყვისა ღვინო, რომელსაც მხოლოდ რიცხვის ნათესა და მოქმედ. ბრუნვები ასე აქვს: ღვინის, ღვინით.

5. ი-ზე დაბოლოებული სახელები ყოველგან კარგავს ამ ი-ს; მხოლოდობითი რიცხვის ვნებით ბრუნვაში დაბოლოების თ-ის წინ ამ შემთხვევაში ა ჩაერთვის (ნახეთ მაგალითები: ბავში, იხვი).

6. მნებით ბრუნვაში თ-ს გარდა კიდევ იხმარება ჩვენს მწერლობაში დაბოლოება ღ, მაგალითად: ბავშად, კატად, ბავშებად, კატებად.

7. მხოლოდობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვა უმეტეს ნაწილათ მ-ზე ბოლოვდება:

ძმაო! მზეო! კაცო! ხზოო! ბუო!

ზოგიერთ სახელს წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი:

ა) ნათესავთა და მოყვარეთა სახელებს ა-ზე: დედა, მამა, ძამია, დანია (ძმა და და კი — ძმაო, დანო), ძია, ბიძია, ბებია, ბაბუა, მამიდა, დეიდა, ბებიდა, ბაბუდა, ბიცოლა, ვადია, ნათლია და სხვ.

ბ) მ-ზე დაბოლოებულ სახელებს, ერთმარცვლოვანს გარდა, — მაგალითად: ჩემო სატრფო! ჩემო სამშობლო! გოგო! წებო! პალო! — ერთმარცვლოვანს კი მ ემატება: რკოო! ხზოო!

გ) საკუთარ სახელებს საზოგადოთ ყველა ხმოვანზე, გარდა ი-სა: ბურია! წყალტუბო! პვირიკე (სოფელია)! საგურამო! ღვაბზუ (სოფელია)! ანდრია! მლენე! სანდრო! ბუგუნავა! ჭავჭავაძე!

დ) მოხელეთა სახელებს ე-ზე: მეველე! მეწულე! მებაღე!

ე) ძნინობით სახელებს ა-ზე: ჩიტუნია! გოგონა! ტირია! წუნია! ვირიკა!

ვ) რთულ სახელებს ა-ზე (როცა ეს ა გადაკეთებულია ი-ნისაგან): შავთვალწარბა! ყელწითელია! (წარბი, წითელი).

ზ) ზოგიერთ საზოგადო სახელს ა-ზე: მელია! კერია! ძერა! წვერა! ტორილა! ჩიორა! სკვინჩა! ბელურა! თელა! და სხვ.

ზ) ი-ზე დაბოლოებულის ადამიანთა სახელების შესახებ უცმდევი კანონი არსებობს: თუ დაბოლოე-

ბის ი უცვალეზულია, წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელებითი: ბიორგი! აკაკი! ღიმიტრი! ალექსი! ღომენტი! სევასტი!—და თუ ეს ი ს-ცვალეზელია, მაშინ წოდებითში იხმარება ი-ნის გამოკლებით: დავით! ანტონ! თამარ! ვახტანგ!

თ) წოდებით ბრუნვაში დაბოლოების ო-ნის მაგიერ ვ-ნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როცა განყენებითი საგნის არსებით სახელს ვაბრუნებთ და როცა იგი სახელობით ბრუნვაში ა-სა და მ-ზე ბოლოვდება, მაგალ.: ჩემო ბედნიერებავ, ჩემო სიკეთევ!

8. მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ორგვარი დაბოლოებაა: ის და სი; დაბოლოება სი აქვს ო-სა და უ-ზე დაბოლოებულ სახელებს (გარდა ორი სიტყვისა: ღვინო და დრო, რომელთაც ნათესაობითი ასე აქვთ: ღვინის, დროის, მოქმედ. ბრ. ღვინით, დროით); ამავე სახელებს მხოლოდობ. რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში აქვს დაბოლოება თი (იხ. წინ მაგალითები: გოგო, რკო, ყრუ, ბუ).

ნათესაობითში სი-სა და მოქმედებითში თი-ზე ბოლოვდება აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელიც:

1. ა-სა და მ-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები (მამია, მლენე — მამიასი, მლენესი);

2. ა-ზე დაბოლოებული გვარები (ზუგუნავა, მლიავა — ზუგუნავასი, მლ ავასი);

3. ა-ზე დაბოლოებული იმისთანა რთული სახელები, როცა დაბოლოების ა-ნის ალავას მარტივ სიტყვაში ი ზის: შავ-ვალწარბ-სი, ძარტკბ ლასი;

4. ა-ზე დაბოლოებული კნინობითი სახელები (მოფერებითი: ჩიტუნია, გოგონა — ჩიტუნიასი, გოგონასი; დაცინვითი: ტირია, წუნია, ცხვირა, ხუმა-

რა, კენია და სხვ. — ტირიასი, წუნიასი და სხვ.);

5. ნათესავთა რთული სახელები ა-ზე: ბაბუა, ბებია, ბიძია, ძია (ბიძა კი ბიძის), დეიდა, მამიდა, ბაბუა, ბებია (ბაბუასი, ბებიასი და სხვ.);

6. შემდეგი სახელები: ძერა, ტოროლა, ჩიორა, სკვინჩა, ბელურა, კოდალა, თელა, წვერა, კერა (კერია), გადია.

7. ნათესაობით ბრუნვაში სი-ს მაგიერ ზოგჯერ მარტო ს იხმარება: წიგნი შალვასა ან შალვას წიგნი; ვისია ეს წიგნი? — მლენესი; ან ეს მლენეს წიგნია.

8. ბრუნვებს ხანდახან სრული დაბოლოებითაც ხმარობენ, ე. ი. ბოლოში უმატებენ ა-ს: ნათ ბავშისა, ბავშებისა, მიც ბავშსა, ბავშებსა, მოქმ ბავშითა, ბავშებითა, ვნ ბავშთა, ბავშებათა (ბავშადა, ბავშებადა).

9. ი-ზე დაბოლოებულ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ყოველთვის მა ემატება (ბავში.— ბავშმა), ა-სა, ე-სა, ო-სა და უ-ზე დაბოლოებულს კი მ (კატამ, კლდემ, რკომ, ბუმ); იშვიათად აქაც იხმარება სრული დაბოლოება მა: ბრმამა სთქვა, ბუმა სცნა და სხვ.

10. მრავლობით რიცხვში, როცა პირველი დაბოლოებით ვაბრუნებთ, სიტყვებს ბრუნვებში იგივე დაბოლოება აქვს, როგორც მხოლოდობით რიცხვში; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მრავლობითში დაბოლოების წინ ებ ჩაერთვის: ბავშ-ებ-ი, ბავშ-ებ-ის, ბავშ-ებ-ს და სხვ. (შეადარეთ მხოლოდობით რიცხვს).

ვნებით ბრუნვაში აქ დაბოლოების წინ ებ-ს გარდა ყოველთვის ემატება ა: ბავშ-ებ-ათ, რკო-ებ-ათ (ნახეთ მე-წი შენიშვნა, გვ. 12).

11. როცა მრავლობით რიცხვში სიტყვაა მეო-



რე დაბოლოებით ვაბრუნებთ, სამ ბრუნვას — ნათესაობითს, მიცემითსა და მოთხრობითს — ერთნაირი დაბოლოება აქვს, სახელდობ თა.

თუ შეგვხვდა სადმე, მაგალითად, ფორმა ბავშთა და გვინდა გავიგოთ, თუ რომელი ბრუნვაა ეს ფორმა, — იმ შემთხვევაში კითხვას უნდა მივმართოთ: რომელი ბრუნვის კითხვასაც მოითხოვს ეს ფორმა, ის ბრუნვა იქნება.

მოვიყვანოთ მაგალითები:

1. ამ ბავშთა ძუობლები აქ არიან,
2. ივანე ამ ბავშთა სცემდა,
3. ეს ამბავი ამ ბავშთა სთქვეს.

პირველ მაგალითში სიტყვა ბავშთა თხოულობს კითხვას: ვისი? (ვისი ძუობლები არიან აქ?); მეორე მაგალითში იმავე სიტყვას კითხვა უნდა ვის? (ვისა სცემდა ივანე?); მესამეში უნდა კითხვა: ვინ? (ვინა სთქვა ეს ამბავი!).

მაშასადამე, პირველ მაგალითში ბავშთა ნათესაობითი ბრუნვაა, მეორეში — მიცემითი, მესამეში — მოთხრობითი.

### ხმოვანთა გამოკლება ბრუნვებში.

მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობათსა, მოქმედებითსა და ვნებით ბრუნვებში იკარგება ხმოვანები ა და ე, როცა არსებითი სახელი ორმარცვლოვანზე მეტია და როცა აქვს ერთერთი ამ დაბოლოებათაგანი:

ალი, ამი ანი, არი,  
ელი, ემი, ენი, ერი.

მაგალითად: მამალი — მამლის, მამლით, მამლათ;  
გიდელი — გიდლის, გიდლით, გიდლათ.

მრავლობით რიცხვში კი ამგვარსავე სახელებში ყველა ბრუნვაში იკარგება იგივე ხმოვანები ა და მ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელი პირველი დაბოლოებით იბრუნვის:

**კედელი:** კედლები, კედლების, კედლებს, კედლებმა, კედლებით, კედლებათ, კედლებო!

## შ მ ნ ი უ ვ ნ ე ბ ი.

1. ზოგიერთი ორმარცვლოვანი სახელიც კარგავს ხმოვანებს იმავე ბრუნვებში: **თვალი** (როცა უსულო საგნის თვალს ნიშნავს, მაგალ. ბეჭდის **თვალი**, ურმის **თვალი**), **ძვალი**, **რძალი**, **კვალი** (მიწის **ზოჭა**), **ბალი**, **წყალი**, **ხმალი**, **ხანი**, **ჯვარი**, **ცვარი**, **მტკვარი**, **ზვარი**, **ჩვარი**, **ძარი**, **ქმარი**; **მგელი**, **ღვდელი**, **შველი**, **წელი** (წელიწადი); **ძღვენი**, **წვენი**, **მტერი**, **მტვერი**.

2. სამმარცვლოვან სახელებს შორის არ კარგავს ხმოვანებს: **ზარალი**, **შოთალი**, **მტარვალი**, **მწვერვალი**, **ტრფიალი**, **სალამი**, **წამწამი**, **თარგმანი**, **თაყვანი**, **იასამანი**, **ზიანი**, **მერანი**, **ნეკტარი**, **თაველი**, **კანკელი**, **მრეწველი**, **მართველი**, **სახელი**, **ქართველი**, **აქლემი**; საზოგადოთ საკუთარი სახელები: **ბურიელი**, **ძარელი**, **თაშარი**, **ბაქარი**, **მყინვარი** და სხვ.; აგრეთვე კითხვაზე: **სადაური?** (ელი-ზე დაბოლოებული სახელები): **ქართლელი**, **კახელი**, **სოფლელი**, **ქალაქელი** და სხვ.; გარდა სიტყვისა **იმერელი** (იმერლის, იმერლები); — **ნარი-ზე** დაბოლოებული კრებითი სახელები: **მუხნარი**, **ფიჭვნარი**, **ბაღნარი**.

3. შემდეგი სახელები იმავე ბრუნვებში კარგავს ხმოვანებს: **ობოლი**, **ფოთოლი**, **დილომი**, **საპონი**, **გოდორი**, **ქოჯორი**; — **ზეგარა** **პეპელა**,

ფანჯრა, ქვეყანა, სომეხი, უახაბი, კაკაბი, ნი-  
ჩაბი, ხვადაგი, ბეჭედი, ნაბადი, კარავი, მოყვარე.

4. შემდეგი სახელები ო-ს ვ-ათ სცელის: მი-  
დორი, მაწონი, ღიაკონი, მონაზონი, ნიგოზი  
(მიდვრის, მიდვრით, მიდვრათ, მიდვრები, მონაზვნის,  
მონაზვნები, ნიგვზის, ნიგვზები).

5. ზოგიერთ სახელში იმავე ბრუნვებში მთე-  
ლი მარცვალი იკარგება: ამბავი, ხუცესი (ამბის,  
ამბით, ამბათ, ამბები, ხუცის, ხუცით, ხუცები).

6. სიტყვა დედოფალა ასე იბრუნვის: დედო-  
ფალასი, დედოფალათი, დედოფალათ, დედოფა-  
ლები და სხვ. (დედოფალი კი — დედოფლის, დე-  
დოფლით, დედოფლები).

7. სიტყვა ღმერთი ნათესაობითსა და მოქმე-  
დებით ბრუნვაში განსხვავებულათ იბრუნვის: ღვთის,  
ღვთით.

\*

არ არის კეთილხმოვანი ფორმები: წამწმის,  
წამწმით, წამწმათ, წამწმები, ვეშპის, ვეშპები;  
უმჯობესია: წამწამი, წამწამით, წამწამები, ვეშა-  
პის, ვეშაპები და სხვ.

არ არის კეთილხმოვანი აგრეთვე ფორმები: მშვე-  
ნიერია, მშვენიერათ, მაგიერათ, მშიერის, მშიერ-  
ები, ღონიერათ, გონიერათ; — უმჯობესია: მშვენი-  
ერის, მშენიერათ, მაგიერათ, მშიერის, მშიერები  
და სხვ. —

### ზმლსართავი სახელი.

პრსებით სახელებს გარდასაუბარში სხვა სიტყ-  
ვებიც იხმარება.

ჩვენს მუხაზე ყვითელი მიჰინო შემოჯდა.

ამ მაგალითში სიტყვა ყვითელი დაერთვის სახელს „მიჰინო“-ს და მის თვისებას გვიჩვენებს: — ამისთანა სიტყვას ზედსართავი სახელი ეწოდება.

აი კიდევ ზედსართავი სახელები:

შავი, თეთრი, მაღალი, დაბალი, ვიწრო, ფართო, ღრმა; — ტყიანი, ქვიანი, მთიანი, მტვრიანი; — შარშანდელი, დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდლური, გუშინდლური; — საყმაწვილო, სასოფლო, სახალო და სხვ.

ზედსართავი სახელების კითხვებია: როგორი? სადაური? როდინდელი?

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი და დამოკიდებითი.

ვითარებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს საგნის თვისებას, ღირსებას ან ხარისხს, — მაგალ. მაღალი, დაბალი, მოკლე, გძელი, თეთრი, შავი, ვიწრო, ფართო, ტყიანი.

დამოკიდებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს: ა. დროს, ბ. ადგილს, გ. მასალას და დ. დანიშნულებას:

ა. შარშანდელი, დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდლური, გუშინდლური;

ბ. აქაური, ქალაქელი, სოფლელი, ქალაქური, სოფლური;

გ. ძვიანი, ტყიანი, ფულიანი, გენახიანი;

დ. საყმაწვილო, საბავშო, საკლასო, სასოფლო, საქალაქო.

ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი

ვითარებით ზედსართავ სახელს სამი ხ რისხი

აქვს: დაწყებითი, შედარებითი და აღმატებითი.

1. დაწყებითი ხარისხი: მაღალი, დაბალი, თეთრი, წითელი, ღრმა;

2. შედარებითი ხარისხი: უმაღლესი, უდაბლესი, უთეთრესი, უწითლესი, უღრმესი;

3. აღმატებითი ხარისხი: უუმაღლესი, უუდაბლესი, უუთეთრესი და სხვ.

**შ ე ნ ი შ ვ ნ მ ბ ი,**

1. შედარებითი ხარისხი ასე კეთდება: სიტყვის საფუძველს\*) ემატება თავში შ და ბოლოში მს.

2. აღმატებითი ხარისხი შედარებითისაგან კეთდება თავში მეორე შ-ნის მიმატებით.

3. შედარებითი ხარისხი კიდევ ასე კეთდება: დაწყებით ხარისხს პირდაპირ ზმნისართი უფრო მიემატება უფრო მაღალი, უფრო ღრმა და სხვ.

4. აღმატებით ხარისხსაც აქვს მეორე ფორმა, — დაწყებით ხარისხს ემატება ზმნისართები: ფრიად მაღალი, ერთობ თეთრი.

**უკანონო ხარისხები.**

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებში მარცვლებს ელ-სა და ილ-ს კარგავს: გძელი, სქელი, პტყელი, თხელი, სხვილი, ტკბილი, თფილა,

\*) ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი სიტყვის იმ ნაწილს ქვია, რომელიც რჩება, როცა ნათესაობით ბრუნვაში დაბოლოებას მოვაშორებთ, — მაგალითად: ნათესაობითი ბრუნვაა მ ა ლ ლ ი ს, წ ი თ ლ ი ს, თ ე თ რ ი ს, ღ რ მ ი ს; ის რთ მოვაშორეთ, დარჩება ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ე ბ ი: მ ა ლ ლ, წ ი თ ლ, თ ე თ რ, ღ რ მ.

ამათგან შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იქნება: უგძესი, უსქესი, უსხვეს, უტკბესი, უთხესი, უუბტყესი, უუტკბესი, უუსხვესი, და სხვ.

### რიცხვითი სახელი.

რიცხვის აღმნიშვნელ სახელს რიცხვითი სახელი ქვია: ერთი, ხუთი, ასი;—პირველი, მეხუთე მესამე, ოცდამეათე, ას ორმოცდამეათე და სხვ.

რიცხვითი სახელი ორგვარია. იმისთანა რიცხვით სახელს, რომელიც საგნების რაოდენობას გვიჩვენებს, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ეწოდება,—მაგალითად: ერთი, ორი, სამი, ასი, ხუთასი, ათასი.

იმისთანა რიცხვით სახელს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რიგზეა დაწყობილი საგნები, რიგითი რიცხვითი სახელი ქვია,—მაგალითად: პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე, მეთასე,

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. რთული რიცხვითი სახელები ერთად იწერება: ოცდაერთი, ოცდათუთხმეტი, ას ორმოცდაათი, ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტ წელს (ათასეული, ასეული და ათეულები ერთმანეთისაგან ცალცალკე იწერება).

2. მარტივ რიცხვებს რიგითი ფორმის მაწარმოებელი მე თავში მიემატება, ხოლო რთულს რიცხვით სახელებს—შუაში: მეხუთე, მეთე, მეასე,—ოცდამეათე, ოთხმოცდამეათე, ს: მოცდამეთერთმეტე.

ბევრნაწევროვან რიცხვში რიგითი ფორმის სა-

წარმოებლათ მე მხოლოდ უკანასკნელ რიცხვს მიე-  
მატება, — მაგალითად: ათას რვაას მესამოცე წელი.

### ნაცვალსახელი.

ვანო გახარებულია: დედამ მას ახალი ტანისა-  
მოსი შეუკერა.

ამ მაგალითში მას ნახმარია სახელის (ვანოს)  
მაგიერ, — ამისთანა სიტყვას **ნაცვალსახელი** ქვია  
(რადგან სახელის ნ ცვლათ იხმარება).

აი კიდევ ნაცვალსახელები:

მე, შენ, ის; — ჩემი, შენი, მისი; — ვინ? რა?  
რომელი? ვისი? — ვინმე, რამე, რომელიმე, ვისიმე; —  
თვით, თვითონ, ყველა, ყოველი.

ნაცვალსახელები შვიდნაირია:

1. **პიროვნებითი**: მე, შენ, ის; ჩვენ, თქვენ,  
ისინი.

2. **კუთნალებითი**: ჩემი, შენი, მისი; ჩვენი,  
თქვენი, მათი.

3. **ჩვენებითი**: ეს, ეგ, ის, იგი, მაგი (მაგ);  
ესენი, ისინი, ეგენი, იგინი, მაგინი.

4. **კითხვითი**: ვინ? რა? რომელი? ვისი?

5. **განსაზღვრებითი**: ყოველი, ყველა, თვით,  
თვითონ.

6. **გნუსზღვრელობითი** (წარმოობს კითხვი-  
თისაგან, — როგორ წარმოობს?): ვინმე, რამე, რომე-  
ლიმე, ვისიმე; ვილაკ, რაღაც, რომელიღაც, ვისიღაც.

7. **განმარტებითი** (წარმოობს კითხვითისაგან, —  
როგორ წარმოობს?): ვინც, რაც, რომელიც, ვისიც.

### ნაცვალსახელთა ბრუნება.

ზოგიერთი ნაცვალსახელი სრულიად არ იბრუნ-

ვის, — მაგალითად: თვით, თვითონ, მე, შენ, ჩვენ, თქვენ\*).

პიროვნებათ ნაცვალსახელებში მარტო მესამე პირის ნაცვალსახელი იბრუნვის:

მხოლ. რიცხ.	მრავლ. რიცხ.
ს. ის, იგი . . . . .	ისინი, ივინი
ნ. მის . . . . .	მათ
მც. მას . . . . .	მათ
მთ. მან . . . . .	მათ
მქ. მით . . . . .	—
მ. მათ . . . . .	—
წ. — . . . . .	—

**შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი .**

1. ნაცვალსახელებს წოდებითი ბრუნვა არ აქვს; მხოლოდ მეორე პირის პიროვნებითი ნაცვალსახელი იხმარება წოდებითი ბრუნვის მნიშვნელობით:

**შენ**, აქ მოდი! **თქვენ**, წიგნი იკითხეთ!

2. მრავლობით რიცხვში ნაცვალსახელები **ნი**-ზე ბოლოვდება — და, მაშასადამე, მოქმედებითი და ვნებითი ბრუნვა არ აქვთ

3. **კუთნილებითი** ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც **ი**-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები, მაგრამ მიცემით ბრუნვაში ამ შემთხვევაში

\*) ქართული გრამატიკის შემდგენელი ასე აბრუნებენ პირველისა და მეორე პირის პიროვნებით ნაცვალსახელებს: ნათესაობითი — ჩ ე მ ი, შ ე ნ ი, ჩ ვ ე ნ ი, თ ქ ვ ე ნ ი; მოქმედებითი — ჩ ე მ ი თ, შ ე ნ ი თ, ჩ ვ ე ნ ი თ, თ ქ ვ ე ნ ი თ; ვნებითი — ჩ ე მ ა თ, შ ე ნ ა თ, ჩ ვ ე ნ ა თ, თ ქ ვ ე ნ ა თ. — შველა აქ მოყვანილი ფორმა **კუთნილებითი** ნაცვალსახელის ფორმებია, და არა **პიროვნებითი**.



ნაცვალსახელებისაგან ჩემი, შენა, ჩვენი, თქვენი უმჯობესია სრული დაბოლოება:

ჩემს ძმას, შენს თავს, ჩვენს ქვეყანას, თქვენს დედ-მამას.

\*\*

მხოლ. რიცხ.		მრავლ. რიცხ.
ს.	ეს, ეგ	ესენი, ეგენი
ნ.	ამის	ამათ
მც.	ამას	ამათ
მთ.	ამან	ამათ
მქ.	ამით	—
მ.	ამათ	—
წ.	—	—
ს.	ის, იგი	ისინი, იგინი
ნ.	იმის	იმათ
მც.	იმას	იმათ
მთ.	იმან	იმათ
მქ.	იმით	—
მ.	იმათ	—
წ.	—	—
ს.	მაგი, მაგ	მაგინი
ნ.	მაგის	მაგათ
მც.	მაგას	მაგათ
მთ.	მაგან	მაგათ
მქ.	მაგით	—
მნ.	მაგათ	—
წ.	—	—

ნაცვალსახელი ყველა (ყველანი) მხოლოდ ერთ რიცხვში იხმარება (მხოლოდობითი რიცხვის დაბოლოებით და მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით):

ს. ყველა (ყველანი)	მქ. ყველათი
ნ. ყველას (ი)	ვ. —
მც. ყველას	წ. —  *)
მთ. ყველამ	

ნაცვალსახელი ყოველი ისე იბრუნვის, როგორც ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი.

\*\*

ბანუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში მხოლოდ პირველი ნაწილი იბრუნვის: ვინ, რა, რომელი, ვისი, და ბოლოში თითქმის ყველა ბრუნვაში უცვლელათ ემატება მე და ლაც:

ს. ვინმე	რამე	ვილაც	რალაც
ნ. ვისიმე	რისამე	ვისილაც	რისლაც
მც. ვისმე	რასმე	ვილაცას	რალაცას
მთ. ვინმე	რამემ	ვილაცამ	რალაცამ
მქ. ვისითმე	რითმე	ვისითლაც	რითლაც
ვ. რათმე	რათმე	რალაცათ	რალაცათ
წ. —	—	—	—

მრავლობით რიცხვში ნაცვალსახელებს ან სულ არ ხმარობენ, ან იშვიათად იხმარება ფორმები: ვინმეები, რამეები, ვინმეების, რამეების, ვინმეებს, და სხვ., ვილაცები, რალაცები, ვილაცების, რალაცების, ვილაცებს, რალაცებს, ვილაცებმა, რალაცებმა, რ სხვ.

\*\*

განმარტებითი ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ, რა, რომელი), მხოლოდ ბოლოში ც მიემატება:

\*) მნებითი ბრუნვა არ აქვს; წოდებითში აღ. შახბეგე ხმარობს ფორმას ყ ვ ე ლ ა ვ: „ჩ ე მ ო ყ ვ ე ლ ა ვ“!

ს.	ვინც, ვინაც	რაც	რომელიც
წ.	ვისიც	რისაც	რომლისაც
შც.	ვისაც	რასაც	რომელსაც
მთ.	ვინც, ვინაც	რამაც	რომელმაც
მქ.	ვისითაც	რითაც	რომლითაც
შ.	რათაც	რათაც	რომლათაც
წ.	—	—	—

მრავლობით რიცხვში მხოლოდ რომელნიც იბრუნვის:

სახ. რომელნიც,	ნათ.	} რომელთაც.
	მიც.	
	და მოთ.	

ამ ნაცვალსახელში მრავლობითი რიცხვის პირველი ფორმა (რომლები, რომლების, რომლებს, რომლებმა, რომლებიც, რომლებისაც, რომლებმაც და სხვ.) არ არის კეთილშოვნანი.

ზოგიერთი ნაცვალსახელი, — მაგალ., რამე, ვინმე, რაღაც, ვიღაც, ყველა, — როცა არსებით სახელებს ახლავს, ბრუნვებში არ იცვლება:

რაღაც საქმე, რაღაც საქმის, რაღაც საქმეს, რაღაც საქმეებს, ყველა საქმემ, ვიღაც კაცი, ვიღაც კაცმა, რამე აზრი, რამე აზრს, რამე აზრით და სხვ.

ნაცვალსახელებისაგან მს, მზ და ის, იგი არსებით სახელთან ყველა ბრუნვაში (სახელობითს გარდა) იხმარება ფორმები ამ და იმ:

მს (ეგ) კაცი, ამ კაცის, ამ კაცს, ამ კაცმა; ეს კაცები, ამ კაცებს, ამ კაცებმა და სხვ.; ის (იგი) ქალი, იმ ქალის, იმ ქალს; ის ქალები, იმ ქალებს, იმ ქალებმა...

სიტყვები ერთი და იგივე არსებით სახელთან ასე იბრუნვის: ერთი და იგივე საქმე, ერთისა და

იმავე საქმის, ერთსა და იმავე საქმეს, ერთი და იგივე საქმეები, ერთსა და იმავე საქმეებს და სხვ. (შუკანონოთ ხმარობენ ერთისა და იგივე საქმის, ერთსა და იგივე საქმეს და სხვ.).

### არსებობისა და ზედსართავი სახელის ერთად გარუნება.

ესევე ზედსართავი სახელი ა-ს, მ-ს, ო-სა და უ-ზე ბოლოვდება, როცა არსებით სახელთან არის შეერთებული, ყოველგან უცვლელათ რჩება, ე. ი. არც ბრუნვებში იცვლება და არც რიცხვებში:

ს.	ბრმა	კაცი	ბრმა	კაცები
ნ.	ბრმა	კაცის	ბრმა	კაცების
მც.	ბრმა	კაცს	ბრმა	კაცებს
მთ.	ბრმა	კაცმა	ბრმა	კაცებმა
მქ.	ბრმა	კაცით	ბრმა	კაცებით
მ.	ბრმა	კაცათ	ბრმა	კაცებათ
წ.	ბრმა	კაცო!	ბრმა	კაცებო!

აბრუნეთ: მოკლე ჯოხი, ფართო მიღორი, ტლუ ბიჭი.

\*\*

როცა ზედსართავი სახელი ი-ზეა დაბოლოებული, მხოლოდ სამ ბრუნვაში რჩება უცვლელათ: სახელობითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში; დანარჩენ ბრუნვებში კი სცვლის დაბოლოებას. მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში ზედსართავი სახელი ერთნაირათ იბრუნვის:

ს.	მაღალი	მთა	მაღალი	მთები
ნ.	მაღალი	მთის	მაღალი	მთების

მც. მალალ მთას	მალალ მთებს
მთ. მალალმა მთამ	მალალმა მთებმა
მქ. მალალი მთით	მალალი მთებით
მ. მალალ მთათ	მალალ მთებათ
წ. მალალო მთაო!	მალალო მთებო!

მეორე დაბოლოებით ასე იბრუნვის:

ს. მალალი მთანი	მც. მალალ მთათა
	მთ. მალალ მთათა
ნ. მალალ მთათა	წ. მალალო მთანო!

\*\*

ზედსართავი სახელი ცალკე ისე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი:

ს. თეთრი	თეთრები
ნ. თეთრის	თეთრების
მც. თეთრს	თეთრებს
მთ. თეთრმა	თეთრებმა
მქ. თეთრით	თეთრებით
მ. თეთრათ	თეთრებათ
წ. თეთრო!	თეთრებო!

### თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი .

მთაზე თოვლი ძევს, თევზი წყალში ცხოვრობს, ბავში ღობესთან დგას, ყურდგელი ტყისკენ გაიქცა, ძმისგან წერილი მივიღე.

ამ მაგალითებში ზე, ში, თან, კენ, გან არსებით სახელებს ბოლოში ემატება, თან უდევს; — ამისთანა სიტყვას თანდებული ქვია.

თანდებული სამ ბრუნვას თხოულობს: ნათესაობითსა, მიცემითსა და მოქმედებითს.

1. ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: თვის, კენ, ღმია, მიერ, მიმართ

მაგალითები:

სოფლისკენ მივდივარ ჩემი ძმის საქმისთვის; —  
“უფლისადმი მიმართული ლოკვა წრფელი უნდა იყოს; — ეს წიგნი მეცნიერის მიერ დაიწერა; — ბიორგიმ გაგზავნა წერილი ქართული ეურნალის რედაქციის მიმართ.

2. მიცემით ბრუნვას თხოულობს: ზედა, შინა, შუა, თან

მაგალითები:

„მთასა ზედა თაბორისასა ფერი იცვალე შენ, უფალო!“ — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!“ — „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა!“ — ძავეკასია ორ ზღვას შუა მდებარეობს. — ირემი კლდესთან წაიქცა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი .

ა. შინა და ზედა ძველ ენაში იხმარებოდა; ახლანდელ ენაში შემოკლებით იხმარება ზეღ ში — და ამ ფორმებთან სახელებს მიცემითი ბრუნვის დაბოლოება აღარ ახლავს: ხეზე, მთაზე, წყალში, ორმოში.

ბ. ბრუნვის დაბოლოება არ იხმარება აგრეთვე ი-ზე დაბოლოებულ სახელებში, როცა მათთან თანდებული თან დაისმის: კედელი — კედელთან, ბალახი — ბალახთან.

დაბოლოება ამ შემთვევაში მაშინ მოჩანს, როცა სახელი ა, მ, ო და უ-ზეა დაბოლოებული:

მამა — მამასთან, ხე — ხესთან, ცი — ციკოსთან,  
ბუ — ბუსთან.

ბ მიცემით ბრუნვას თხოულობს აგრეთვე  
ზმისართი-თანდებულები: აქით, იქით, გაღმა,  
გამოღმა, ზევით, ქვეშ, უკან და სხვ. — მაგალი-  
თად: მთას იქით, ტას ქვეშ, ქერს ქვეშ, წყალს  
გაღმა, გზას ზევით.

\*\*\*

3. თანდებულები ვარდა და შემდეგ, თუ წინ  
ზის, ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, და თუ  
უკან ზის, — მიცემითს:

ვარდა ამისა, შემდეგ ამისა, ვარდა ამ საქ-  
მისა, შემდეგ ამ საქმის გათავებისა, ან:

ამას ვარდა, ამ ს შემდეგ, მ საქმეს ვარდ.  
ამ საქმის გათავებას შემდეგ.

ამგვარივე მართველობა აქვს ზმისართ-თანდე-  
ბულებსაც: ქვეშე ქვეყანისა, ქვეყანას ქვეშ, და სხვ

\*

4. თანდებული გან კითხვაზე ვისგან ან რის-  
გან ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, კითხვანზე  
საიდან კი — მოქმედებით ბრუნვას:

მე ძმისგან მივიღე წერილი (ვისგან მივიღი?);  
ეს სახლი სილამაზით ძალიან კარგეა სხვა სახე-  
ბისაგან (რისგან გაირჩევა?) — მე თფილისიდან  
(ახლა უნდა ფორმა თფილისიდან) მოვდივარ (კითხ-  
ვა: საიდან მოვდივარ?), მამა-შენი სოფლიდან  
(=სოფლიდან) დაბრუნდა (კითხვა: საიდან დაბრუნ-  
და?).

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ზოგიერთი თანდებული სახელებს ბოლოში სულ  
უერთდება (თვის, კენ, გან, დში, შ., ზე), ზოგი კი

ქალაქე დაისპის (მიმართ, მიერ, გარდა, შემდეგ-  
შუა, შორის, წინ, ქვეშ, გაღმა, გამოღმა და სხვ.)

მაგალითები:

საქმისთვის, სახლისკენ, ძმისგან, ღვთისადმი,  
წყალში, მთაზე; შულისა მიმართ, ღვთისა მიერ,  
ამას გარდა, ამას შემდეგ, მთებს შუა, ქალაქებს შო-  
რის, სახლის წინ, წყალს გაღმა

### ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ე

ბავში წყნარაჲ ზის, ბერიკაცი წელს მიდის,  
შაშვი ტკბილათ გალობს, მასწავლებელი ხმ. მ. ლლა  
ლაპარაკობს

მოყვანილ მაგალითებში სიტყვები: წყნარათ,  
წელს, ტკბ ლათ, ხმამაღლა— მოქმედების თვისებას  
გვიჩვენებს (როგორ ზის? როგორ გალობს? და სხვ.);  
ამისთანა სიტყვა ყოველთვის ზმნას ახლავს, ზმნას  
დაკრძახს— და ამიტომ ზმნისაჲთი ეწოდება.

ზმნასაწარება ხუთგვარია:

1. ღროს მაჩვენებელი: დღეს, ხვალ, შარშან,  
წრეულს, დღლას, საღამოს და სხვ.;

2. ადგილის მაჩვენებელი: აქ, იქ, გაღმა, გ-  
მოღმა, ზღვით, ქვევით, მაღლა, ძირს, მაგნათ,  
გარეთ და სხვ.;

3. მითარებაჲ მაჩვენებელი: ჩქარა, ნელა, ხმა-  
მაღლა; — უფრო ხშირათ— მოქმედებითისა: და ვნე-  
ბითი ბრუნვების ფორმები: სიცილიათ, ტირილიათ,  
წყრომით, ქვეათად, ცქვიტათ, უზმათ, წყნარათ,  
ჩუმათ, მტულათ, ფარულათ და სხვ.;

4. მაწუჭას მაჩვენებელი: რაგომ? რათა? იმ-  
გომ, ამიტომ;



5. მაზნას მაჩვენებელი: რასთვის? ამ სთვის,  
ამასთვის

კ ა ვ შ ი რ ი.

ბიორგი და ლეონი კარგათ სწავლობენ. —  
შველამ იცის, რომ სწავლა საჭიროა —  
ქუჩაში ტალახია, რადგან გუშინ წვიმდა. —  
როცა კარგათ მოემზადები, კლასში შეგიყვან, —  
თუ კარგათ ისწავლი, სასარგებლო კაცი გა-  
მოხვალ —

სიტყვა და აკავშირებს ერთმანეთთან სახელებს  
(ბიორგი და ლეონი); — სიტყვები: რომ, რადგან,  
როცა, თუ — აკავშირებს (აბამს) ერთმანეთთან სხვა-  
დასხვა აზრს; — ამისთანა სიტყვას გრამატიკაში კავ-  
შიარა ეწოდება.

შ რ რ ი ს ღ ე ბ უ ლ ი.

ოხ, ღმერთო ჩემო!

ჰე, ბიჭებო, დავტრიალდეთ!

ჰოპ, ჰოპ! ჰერა, ჰერა!

ჩუ, გამობტა აგერ წყერი!

ოხ, ჰე, ჰოპ, ჰერა, ჩუ — ამისთანა სიტყვები  
გვიხატავს სულის სხვადასხვანაირ მოძრაობას: ზოგი  
მწუხარებას, ზოგი აღტაცებას, სიხარულს, გაკვირ-  
ვებას. — ამისთანა სიტყვებს გრამატიკაში შორის-  
დებული ეწოდება.

ზ მ ნ ა,

ბავშმა წიგნი წაიკითხა.

ამ მაგალითში სიტყვა წაიკითხა მოქმედებას

გვიჩვენებს;—მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას **ზმნა** ეწოდება.

**მაგალითები:** მე ვსწერ, ჩვენ ვკითხულობთ, თქვენ ლაპარაკობთ, ის ხატავს, ისინი ხატვენ, ლ სხვ.

### ბ ვ ა რ ი.

**ზმნა** სამგვარია: მოქმედებითი გვარის, საშვალ გვარისა და ვნებითი გვარის.

**ბავში წიგნს კითხულობს;**—ამ მაგალითში ბავში არის სასაუბრო საგანი, წიგნი არის საგანი, რომელზედაც ბავშვის მოქმედება პირდაპირ გადადის;—**კითხულობს** არის მოქმედებითი გვარის ზმნა.

**მოქმედებითი გვარის ზმნა** გვიჩვენებს, რომ სასაუბრო საგანი თვით მოქმედობს და ეს მოქმედება სხვა საგანზე პირდაპირ გადადის.

**წიგნი იკითხვის ბავშვისაგან;**—ამ მაგალითში იკითხვის არის ვნებითი გვარის ზმნა.

**ვნებითი გვარის ზმნა** გვიჩვენებს, რომ სასაუბრო საგანი (**წიგნი**) თვით კი არ მოქმედობს, არამედ გარეშე საგანი (**ბავში**) მოქმედობს მასზე.

**ბავში დადის;**—ამ მაგალითში **დადის** არის საშვალ გვარის ზმნა.

**საშვალ გვარის ზმნა** გვიჩვენებს, რომ სასაუბრო საგანი (**ბავში**) თვითონ მოქმედობს და ეს მოქმედება იმავე საგანში რჩება, სხვაზე არ გადადის.

### ს ა ხ ე.

**ზმნას** ორი სახე აქვს: უსრული და სრული.

უსრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება არ შესრულებულა, — მაგალ.: მე ვსწვრდი, შენ იკითხე, მას აუშენებია.

სრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება შესრულებულია, მაგალ.: მე დავსწვრე, შენ წავიკითხე, მას აუშენებია.

## უ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი

1. უსრული ს:ხის ზმნები უმეტეს ნაწილათ უთავსართოა (ვსწვრ, ვკითხულობ, ვაშენებ), სრული სახის კი — თავსართიანი (დავსწვრე, წავიკითხე, ავაშენე).

2. ზოგჯერ უთავსართო ზმნას სრული სახის მნიშვნელობა აქვს: მე ვისადილე, მე ვინადირე, ჩვენ ვიშოვნეთ, ჩვენ ვაჩუქეთ და სხვ.: — აგრეთვე თავსართიან ზმნას ხშირათ უსრული სახის მნიშვნელობა ეძლევა მიმაქვს, მიმყავს, დავსვირნობ, ვავკივი, შევყურებ და სხვ.

3. სრული სახის თავსართიან ზმნებს აწმყო დრო არ აქვს.

## კ ი ლ ო.

ზმნას მიმოხრაში სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ხასიათი ეძლევა ან სხვადასხვა კილო: ზოგ ფორმას ბძანების კილო აქვს, — მაგალითად: სწვრე! ნუ სწვრ! არ სწვრო! — ზოგ ფორმას მოთხრობის ხასიათი აქვს და ნამდვილათ მომხთარ გარემოებას გვიჩვენებს, — მაგალითად: მე წავიკითხე წიგნი და მერე ამხანავს გადავეცი; — ზოგი ფორმა ნატვრას აღნიშნავს, — მაგალითად: ნეტა კარგათ დამეწერა.

მამყრა

თხზულება! ნეტავი შენ კარგათ სწავლობდე! — ზოგი პირობას აღნიშნავს, მაგალითად: ფული რომ მქონოდა, სიამოვნებით მოგცემდი.

**მოსხრობით კილოში** ხუთი დროა:

აწმყო (რას ვშვრები?): ვსწერ, ვკითხულობ\*).

სამი ნამყო: ა) ნამყო I (რას ვშვრებოდი?):  
ვსწერდი, ვკითხულობდი.

ბ) ნამყო II (რა ვქენი?): ვსწერე,  
ვიკითხე.

გ) ნამყო III (რა მიქნია?): მიწერია,  
მიკითხავს.

მყოფადი (რას ვიზამ?): ვსწერ, ვკითხავ.

\*

**ნათვრით კილოშიც** ხუთი დროა:

აწმყო (რას უნდა ვშვრებოდე?): ვსწერდე,  
ვკითხულობდე.

ორი ნამყო: ა) ნამყო I (რა უნდა მექნა?)  
მეწერა, მეკითხა.

ბ) ნამყო II (რა უნდა მექნას?):  
მეწეროს, მეკითხოს.

ორი მყოფადი: ა) მყოფადი I (რას ვიზამდე?):  
ვსწერდე, ვკითხავდე.

ბ) მყოფადი II (რა უნდა ვქნა?):  
ვსწერო, ვკითხო.

\*

**პირობით კილოს** მარტო ერთი დრო აქვს:  
ნამყო დრო (რას ვიზამდი?): ვსწერდი, ვკითხავდი (დავსწერდი, წავიკითხავდი).

\*) შველა პირში და ორივე რიცხვში მიმდხარეთ.

**შპანეზიტი კილო** ორგვარია: **დამტკიცებითი**  
და **უარყოფითი**.

**დამტკიცებითი:** სწერე! სწეროს! ვსწეროთ!  
სწერეთ! სსერონ!

**უარყოფითი I:** ნუ სწერ! ნუ სწერს! ნუ  
ვსწერთ! ნუ სწერთ! ნუ სწერენ!

**უარყოფითი II:** არ სწერო! არ სწეროს! არ  
ვსწეროთ! არ სწეროთ! არ სწერონ!

**ზმნის დასაწყის ფორმას სახელზმნა ეწოდება:**  
**წერა, კითხვა, შენება.**

სახელზმნას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ ფორ-  
მას არსებითი სახელის მნიშვნელობაც აქვს და ზმნი-  
საც, სახელიც არის და ზმნაც. როგორც სახელი,  
ეს ფორმა იბრუნვის, — მაგალითად:

სახ. წერა		მთ. წერამ
ნათ. წერის		მოქმ. წერით
მიც. წერას		ვნებ. წერათ

როგორც ზმნა, ის მიმოიხრის, — მაგალითად:  
მე ვსწერ, შენ სწერ, ისა სწერს, მე ვსწერდი, შენ  
სწერდი და სხვ.

**მ ი მ ო ხ რ ა**

**ზმნა მიმოიხრის, ე. ი. სცვლის დაბოლოებას**  
**პირებსა და დროებში.**

**პ ი რ ი.**

**ვინც ლაპარაკობს, ის არის კირველი პირი:**  
**მე ვსწერ, ჩვენ ვსწერთ;**  
**მე ვკითხულობ, ჩვენ ვკითხულობთ;**

ვისაც ელაპარაკებიან, ის არის მეორე პირი:  
 შენ სწერ, — თქვენ სწერთ;  
 შენ კითხულობ, — თქვენ კითხულობთ;  
 ვიზედაც ელაპარაკობენ, ის არის მესამე პირი:  
 ისა სწერს, ისინი სწერენ;  
 ის კითხულობს, ისინი კითხულობენ.

\*

დ რ ო,

მიმოხრაში სამი დრო გაირჩევა: აწმყო, ნამყო და მყოფად.

1. აწმყო, ე. ი. ახლანდელი დრო; — აწმყო დროის კითხვებია:

რას ვშვრები? რას უნდა ვშვრებოდე?

რას ვშვრები მე? — მე ვსწერ *კვლევა*

რას შვრები შენ? — შენ სწერ

რას შვრება ის? ისა სწერს

რას ვშვრებით ჩვენ? — ჩვენ ვსწერთ

რას შვრებით თქვენ? — თქვენ სწერთ

რას შვრებიან ისინი? — ისინი სწერენ.

მე რას უნდა ვშვრებოდე? — მე უნდა ვსწერდე

შენ რას უნდა შვრებოდე? — შენ უნდა სწერდე

ის რას უნდა შვრებოდეს? — ის უნდა სწერდეს

ჩვენ რას უნდა ვშვრებოდეთ? ჩვენ უნდა ვსწერდეთ

თქვენ რას უნდა შვრებოდეთ? — თქვენ უნდა სწერდეთ

ისინი რას უნდა შვრებოდენ? — ისინი უნდა სწერდენ

2. ნამყო, ე. ი. წასული დრო; — ნამყო დროის კითხვებია:

რას ვშვრებოდი? რა ვქენი?

რა მიქნია? რა უნდა მექნა?

რა უნდა მექნას? რას ვიზამდი?

*Handwritten notes in the top right corner.*

მე რას ვშვრებოდი? — მე ვსწვრდი  
შენ რას შვრებოდი? — შენ სწვრდი  
ის რას შვრებოდა? — ისა სწვრდა  
ჩვენ რას ვშვრებოდით? — ჩვენ ვსწვრდით  
თქვენ რას შვრებოდით? — თქვენ სწვრდით  
ისინი რას შვრებოდნენ? — ისინი სწვრდნენ

*Handwritten notes in the middle right area.*

მე რა ვქენი? — მე ვსწვრავ (დავსწვრავ)  
შენ რა ქენი? — შენ სწვრავ (დასწვრავ)  
მან რა ქნა? — მან სწვრა (დასწვრა)  
ჩვენ რა ვქენით? — ჩვენ ვსწვრავთ (დავსწვრავთ)  
თქვენ რა ქენით? — თქვენ სწვრავთ (დასწვრავთ)  
მათ რა ქნეს? მათ სწვრავს (დასწვრავს)!

მე რა მიქნია? — მე მიწვრია (დამიწვრია)  
შენ რა გიქნია? — შენ გიწვრია (დაგიწვრია)  
მას რა უქნია? — მას უწვრია (დაუწვრია)  
ჩვენ რა გვიქნია? — ჩვენ გვიწვრია (დაგვიწვრია)  
თქვენ რა გიქნიათ? — თქვენ გიწვრიათ (დაგიწვრიათ)  
მათ რა უქნიათ? — მათ უწვრიათ (დაუწვრიათ)

მე რა უნდა მექნა? — მე უნდა მეწვრა (დამეწვრა)  
შენ რა უნდა გექნა? — შენ უნდა გეწვრა (დაგეწვრა)  
მას რა უნდა ექნა? — მას უნდა ეწვრა (დაეწვრა)  
ჩვენ რა უნდა გვექნა —  
ჩვენ უნდა გვეწვრა (დაგვეწვრა)  
თქვენ რა უნდა გექნათ?  
— თქვენ უნდა გეწვრათ (დაგეწვრათ)  
მათ რა უნდა ექნათ?

— მათ უნდა ეწვრათ (დაეწვრათ)

მე რა უნდა მექნას? — მე უნდა მეწვროს (დამეწვროს)  
შენ რა უნდა გექნას? —  
— შენ უნდა გეწვროს (დაგეწვროს)

მას რა უნდა ექნას?—მას უნდა ეწეროს (დაეწეროს)  
ჩვენ რა უნდა გვექნას?

— ჩვენ უნდა გვეწეროს (დაგვეწეროს)  
თქვენ რა უნდა გექნასთ?

— თქვენ უნდა გეწეროსთ (დაგეწეროსთ)  
მათ რა უნდა ექნასთ?

— მათ უნდა ეწეროსთ (დაეწეროსთ).

მე რას ვიზამდი? — მე ვსწერდი (დავსწერდი)

შენ რას იზამდი? — შენ სწერდი (დასწერდი)

ის რას იზამდა? — ის სწერდა (დასწერდა)

ჩვენ რას ვიზამდით? — ჩვენ ვსწერდით (დავსწერდით)

თქვენ რას იზამდით! — თქვენ სწერდით (დასწერდით)

ისინი რას იზამდენ? — ისინი სწერდენ (დასწერდენ).

3. მყოფადი, ე. ი. მომავალი დრო; — მყოფადი  
დროის კითხვებია:

რას ვიზამ? რას ვიზამდე? რა უნდა ვქნა?

მე რას ვიზამ? — მე ვსწერ (დავსწერ)

შენ რას იზამ? — შენ სწერ (დასწერ)

ის რას იზამს? — ის სწერს (დასწერს)

ჩვენ რას ვიზამთ? — ჩვენ ვსწერთ (დავსწერთ)

თქვენ რას იზამთ? — თქვენ სწერთ (დასწერთ)

ისინი რას იზამენ? — ისინი სწერენ (დასწერენ).

მე რას ვიზამდე? — მე ვსწერდე (დავსწერდე)

შენ რას იზამდე? — შენ სწერდე (დასწერდე)

ის რას იზამდეს? — ის სწერდეს (დასწერდეს)

ჩვენ რას ვიზამდეთ? — ჩვენ ვსწერდეთ (დავსწერდეთ)

თქვენ რას იზამდეთ? — თქვენ სწერდეთ (დასწერდეთ)

ისინი რას იზამდენ? — ისინი სწერდენ (დასწერდენ).

მე რა უნდა ვქნა? — მე უნდა ვსწერო (დავსწერო)



შენ რა უნდა ქნა? — შენ უნდა **სწერო** (დასწერო)  
მან რა უნდა ქნას? — მან უნდა **სწეროს** (დასწეროს)  
ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— ჩვენ უნდა **ვსწეროთ** (დავსწეროთ)  
თქვენ რა უნდა ქნათ?

— თქვენ უნდა **სწეროთ** (დასწეროთ)  
მათ რა უნდა ქნან? მათ უნდა **სწერონ** (დასწერონ).

*თხზულება*

**ბძანებითი კილო:**

*თხზულება*  
1. **დაშტკიცებითი:** სწერე, იკითხე! სწეროს, იკითხოს! ვსწეროთ, ვიკითხოთ! სწერეთ, იკითხეთ! სწერონ, იკითხონ!

*თხზულება*  
2. **უარყოფითი:** ნუ სწერ, ნუ კითხულობ! ნუ სწერს, ნუ კითხულობს! ნუ ვსწერთ, ნუ ვკითხულობთ! ნუ სწერენ, ნუ კითხულობენ! არ სწერო, არ იკითხო! არ სწეროს, არ იკითხოს! არ ვსწეროთ, არ ვიკითხოთ! არ სწეროთ, არ იკითხოთ! არ სწერონ, არ იკითხონ!

შართულ ენაში **ორგვარი მიმოხრაა.**

**პირველ მიმოხრას** ის ზმნები ეკუთნის, რომელიც აწმყო დროში პირველ პირში ვ-ით იწყება: მე ვაშენებ, ვსწერ, ვკითხულობ, ვხატავ; მე ვუწერ, ვუშენებ, ვუხატავ.

**მეორე მიმოხრას** ის ზმნები ეკუთნის, რომელიც აწმყო დროში მ-ით იწყება: მიყვარს, მიხარია, მწამს, მესმის, მეხარბება.

მეორე მიმოხრის ზმნა განსხვავებულათ მიმოხრის. — ავიღოთ მაგალითად ზმნა **მიყვარს.**

ა წ მ ყ ო ღ რ ო .

- რას** ვწვრები?—მე **მიყვარს** (შენ გიყვარს, მას უყვარს; ჩვენ გვიყვარს, თქვენ გიყვართ, მათ უყვართ).
- რას** უნდა ვწვრებოდე?—მე უნდა **მიყვარდეს** (შენ გიყვარდეს, მას უყვარდეს; ჩვენ გვიყვარდეს, თქვენ გიყვარდესთ, მათ უყვარდესთ).

ნ ა მ ყ ო ღ რ ო .

- რას** ვწვრებოდლი? მე **მიყვარდა** (შენ გიყვარდა, მას უყვარდა; ჩვენ გვიყვარდა, თქვენ გიყვარდათ, მათ უყვარდათ).
- რა** ვქენი?—მე **შემიყვარდა** (შენ შეგიყვარდა, მას შეუყვარდა; ჩვენ შეგვიყვარდა, თქვენ შეგიყვარდათ, მათ შეუყვარდათ).
- რა** მიქნია?—მე **მყვარებია** (შენ გყვარებია, მას ყვარებია; ჩვენ გვყვარებია, თქვენ გყვარებიათ, მათ ყვარებიათ).
- რა** უნდა მექნა?—მე უნდა **მყვარებოდა** (შენ გყვარებოდა, მას ყვარებოდა; ჩვენ გვყვარებოდა, თქვენ გყვარებოდათ, მათ ყვარებოდათ).
- რა** უნდა მექნას?—მე უნდა **მყვარებოდეს** (შენ გყვარებოდეს, მას ყვარებოდეს, ჩვენ გვყვარებოდეს, თქვენ გყვარებოდესთ, მათ ყვარებოდესთ).
- რას** ვიზამლი?—მე **მეყვარებოდა** (შენ გეყვარებოდა, მას ეყვარებოდა; ჩვენ გვეყვარებოდა, თქვენ გეყვარებოდათ, მათ ეყვარებოდათ).

მ ყ ო ფ ა დ ი ღ რ ო

- რას** ვიზან?—მე **მეყვარება** (შენ გეყვარება, მას

ეყვარება; ჩვენ გვეყვარება, თქვენ გეყვარებათ, მათ ეყვარებათ).

**რას** ვიზამდე?—**მე მეყვარებოდეს** (შენ გეყვარებოდეს, მას ეყვარებოდეს; ჩვენ გვეყვარებოდეს, თქვენ გეყვარებოდესთ, მათ ეყვარებოდესთ).

**რა** უნდა ვქნა?—**მე უნდა მეყვაროს** (შენ გეყვაროს, მას ეყვაროს; ჩვენ გვეყვაროს, თქვენ გეყვაროსთ, მათ ეყვაროსთ; ან: შემიყვარდეს, შეგიყვარდეს, შეუყვარდეს და სხვ.).

თ ა ვ ს ა რ თ ვ ბ ი

ზმნებს თავში სხვადასხვა ნაწილაკი დაერთვის: სახლი ავაშენე, საქმე ბავაჯეთეთ, წერილი დაესწერე, წიგნი წავიკითხეთ, ბავშვები კლასში შევიდენ, კაცს ტვირთი მიაქვს, მამა-ჩემმა ფული მომცა. ა, გა, და, წა, ჩა, შე, მი, მო არის თავსართები.

ახალ ენაში უფრო ხშირათ მოკლე თავსართები იხმარება (ა, გა, წა, ჩა), ძველ ენაში კი სრული თავსართები იხმარებოდა: აღ, გან, წარ, შთა,—მაგალითად: აღვასრულე, განვათავისუფლე, წარვიდა, შთავიდა (ახლა ვიტყვით: ავასრულე, ვათავისუფლე, წავიდა, ჩავიდა).

ზოგჯერ ახალ ენაშიც იხმარება სრული თავსართები: აღმითქვა, აღიჭურვა, განცვიფრდა, განხორციელდა, წარსდგა, წარმოადგინეს.

მ ი მ ლ ე ო ბ ა.

ზმნისგან კეთდება ერთგვარი ტორმა, რომელიც ზედსართავ სახელსა გავს:

მწერელი (დამწერელი, დამწერი), დაწერილი, დანაწერი, საწერი (დასაწერი);—მკითხველი (წამკითხველი), საკითხავი (წასაკითხავი);—მკეთებელი (გამკეთებელი), გაკეთებული, განაკეთე<sup>1</sup>, საკეთებელი (გასაკეთებელი).

ამისთანა ფორმას მიმდებარე ქვია

### შეფუთვითი ზმნის მიმოხრა.

ზმნა „შე ვარ“ ბევრ სხვა ზმნას ეხმარება, ეწევა მიმოხრაში (მაგალითად: ვზივარ, ვწევარ, ვღავარ, ვზივართ, ვწევართ, დამჯღღარვარ, დაწოლილვარ, გაქცეულვარ, გაქცეულხარ, გაქცეულვართ და სხვ.)—და ამიტომ შემწეობითი ზმნა ეწოდება.

### მოთხრობითი კილო.

ნამყო (რას ვშვრები?)

შე ვარ  
შე ხარ  
ის არის\*)  
ჩვენ ვართ  
თქვენ ხართ  
ისინი არიან\*\*)

ნამყო I (რას ვშვრებოდი?)

შე ვიყავ(ი)  
შენ იყავ(ი)  
ის იყო  
ჩვენ ვიყავით  
თქვენ იყავით  
ისინი იყვნენ.

ნამყო II (რა ვქენი?)

შე ვიქენ(ი)

ნამყო III (რა მიქნია?)

შე ყოფილვარ

\*) მოკლეთ არს, ა („არა რა არს უსაშველო“); „სიტყვა ს ი ტ ყ ვ ა ა (=სიტყვა არის), საქმე კი სხვაა“ (=სხვა არის).

\*\*\*) მოკლეთ ან, მაგალ: ისინი მო ულან (=მოხულ არიან).

შენ იქენ(ი)  
ის იქნა  
ჩვენ ვიქენით  
თქვენ იქენით  
ისინი იქნენ.

შენ ყოფილხარ  
ის ყოფილა  
ჩვენ ყოფილვართ  
თქვენ ყოფილხართ  
ისინი ყოფილან.

**მყოფადი (რას ვიზამ?)**

მე ვიქნები  
შენ იქნები  
ის იქნება

ჩვენ ვიქნებით  
თქვენ იქნებით  
ისინი იქნებიან.

**ნატვრითი კილო.**

**აწმყო (რას უნდა ვშვრვბოდე?)**

მე ვიყო  
შენ იყო  
ის იყოს

ჩვენ ვიყოთ  
თქვენ იყოთ  
ისინი იყონ.

**ნამყო I (რა უნდა მექნა?) ნამყო II (რა უნდა მექნას?)**

მე ყოფილვიყავ  
შენ ყოფილიყავ  
ის ყოფილიყო  
ჩვენ ყოფილვიყავით  
თქვენ ყოფილიყავით  
ისინი ყოფილიყვენ

მე ყოფილვიყო  
შენ ყოფილიყო  
ის ყოფილიყოს  
ჩვენ ყოფილვიყოთ  
თქვენ ყოფილიყოთ  
ისინი ყოფილიყონ.

**მყოფადი I (რას ვიზამდე?) მყოფადი II (რა უნდა ვქნა?)**

მე ვიქნებოდე  
შენ იქნებოდე  
ის იქნებოდეს  
ჩვენ ვიქნებოდეთ  
თქვენ იქნებოდეთ  
ისინი იქნებოდენ

მე ვიქნე  
შენ იქნე  
ის იქნეს  
ჩვენ ვიქნეთ  
თქვენ იქნეთ  
ისინი იქნენ.

პირობითი კილო.

ნამყო (რას ვიზამდი?)

მე ვიქნებოდი	ჩვენ ვიქნებოდით
შენ იქნებოდი	თქვენ იქნებოდით
ის იქნებოდა	ისინი იქნებოდნენ.

ბძანებითი კალო.

დამტკიცებითი ფორმა.

ა წ მ ყ ო	მ ყ ო ფ ა დ ი.
-----------	----------------

(ვიყო!)	ვიყოთ!		(ვიქნე!)	ვიქნეთ!
იყავ(ი)!	იყავით!		იქენ(ი)!	იქენით!
იყოს!	იყონ!		იქნეს!	იქნენ!

შარყოფითი პირველი.

ა წ მ ყ ო.	მ ყ ო ფ ა დ ი.
------------	----------------

(ნუ ვარ!)	ნუ ვართ!		(ნუ ვიქნები!)	ნუ ვიქნებით!
ნუ ხარ!	ნუ ხართ!		ნუ იქნები!	ნუ იქნებით!
ნუ არის	ნუ არიან!		ნუ იქნება!	ნუ იქნებიან?

შარყოფითი მეორე.

ა წ მ ყ ო.	მ ყ ო ფ ა დ ი.
------------	----------------

(არ ვიყო!)	არ ვიყოთ!		(არ ვიქნე!)	არ ვიქნეთ!
არ იყო!	არ იყოთ!		არ იქნე!	არ იქნეთ!
არ იყოს!	არ იყონ!		არ იქნეს!	არ იქნენ!

მ ი მ ლ ე ო ბ ა.

ა წ მ ყ ო.	ნ ა მ ყ ო.	მ ყ ო ფ ა დ ი.
------------	------------	----------------

მყოფი.	ნამყო, ყოფილი.	სამყოფი, მყოფადი.
--------	----------------	-------------------

## წინადადება.

რაიმე აზრს ჩვენ გამოვსთქვამთ სიტყვების სა-  
შვალებით:

ვანო კარგათ სწავლობს.

ამ ყმაწვილს კარგი ყოფაქცევა აქვს.

დედას შვილი უყვარს,

ცალკე გამოთქმულს თითოეულ აზრს გრამა-  
ტიკაში წინადადება ქვია.

\*\*\*

წინადადების შესადგენათ უმთავრესათ ორი ნა-  
წილია საჭირო: ერთი—საგანი, რომელსაც ჩვენი  
საუბარბ შეეხება; ამისთანა ნაწილს ქვემდებარე ქვია;  
მეორე—მოქმედება, რომელიც ქვემდებარეს შეხება;  
ამისთანა ნაწილს შემასმენელი ეწოდება.

ბავში წიგნს კითხულობს.

ამ წინადადებაში ქვემდებარე არის ბავში, შე-  
მასმენელი კითხულობს.

\*\*\*

ქვემდებარე ქართულ ენაში სამ ზრუნვაში და-  
ისმის: სახელობითა, მიცემითა და მოთხრო-  
ბითში:

მამა ოჯახს უვლის.

დედას შვილები უყვარს.

ბავშმა წერილი დასწერა.

\*

ქვემდებარესა ო შემასმენელს წინადადების  
მთავარი ნაწილები ქვია.

წინადადებას სხვა ნაწილებიც აქვს, რომელსაც  
მეორე ხარისხის ნაწილები ეწოდება.

მეორე ხარისხის ნაწილები სამგვარია: დამატება, განსაზღვრება და ვარემოება.

\*

1. დამატება არის სიტყვა, რომელიც ზმნას (შემასმენელს) დაერთვის, დაემატება აზრის შესავსებათ.

დამატების კითხვებია: რა? რის? რას? რით? რათ? ვინ? ვისი? ვის? ვისით?

მაგალითები:

ბავშვებმა წიგნები წაიკითხეს. — ბუნლად მეომარს სიკვდილის არ ეშინია. ძართველები მამულსა და სარწმუნოებას იცავდენ. — ხე წაღლით გასხებეს. — შიცარი შეშათ ვიხმარეთ. — მოსწავლეს უყვარს მასწავლებელი. — შვილს დედ-მამის ერიდება. პატივი გც მამასა და დედას!

\*

2. განსაზღვრება არის სიტყვა, რომელიც საზღვრავს, განმარტავს უმეტესათ ქვეცდებარესა და დამატებას.

განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რის?

მაგალითები:

აგი შვილი დედ-მამის მაგინებელია. — ეს ბავში კარგათ სწავლობს. — ასი (ჯოხი) დამკარ, ერთი (სიტყვა) მათქმევიყო. — ძოტე პირველი მოსწავლეა, ანდრო კი მეორე. — საქართველოში კახური ღვინოა ნაქები. — შარშანდელ წელიწადს ვერ დავემდურებით. — მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა. — მეინჯარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

3. ვარემოება არის სიტყვა, რომელიც გვი-



წვენებს, რა გარემოებაში (რა მდგომარეობაში) არის რომელიმე საგანი.

გარემოება ხუთნაირია: ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის და ვითარების.

ადგილის გარემოების კითხვებია: სად? საით? საითკენ? საიდან? სადამდი?

მაგალითები:

თევზი წყალში არ დაფასდებაო. — ეს ვაჭარი თფილისს მიდის, იქიდან სპარსეთისკენ გაემგზავრება. — ზემი ინგლისიდან ბათომს მოდის. — ასე იარე მცხეთამდი, მცხეთაში გაგივაკდება.

\*

დროის გარემოების კითხვებია: როდის? რა დროს? რა დროიდან? როდემდი? რა დრომდი?

მაგალითები:

ბუშინ დილიდან სალამომდი იწვიმა, ბინდისას გამოიღარა. — ჭართველი ხალხი მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანდა. საქართველოს უძველესი დროიდანვე მტრები ესეოდენ.

\*

მიზეზის გარემოების კითხვებია: რატომ? რათა? რის გამო? რა მიზეზით? რით?

მაგალითები:

მდინარეხშირი წვიმების გამო ძლიერ გადიდა. — სანდრო სწავლაში სიზარმაცით დაბრკოლდა, მიშო კი — ავათმყოფობით. — ძაცო, რათ (რატომ) არ იტყვი მართალს?

\*

მიზნის გარემოების კითხვებია: რისთვის? რა მიზნით?

მაგალითები:

ჰარები საომრათ იკრიბებიან.—ბეჯითი მოსწავ-  
ლე სწავლისთვის დადის უკოლაში, ზარმაცი კი—  
სათამაშოთ.

\*\*\*

ვითარების გარემოების კითხვებია: როგორ?  
რაგვარათ? რანაირათ? რა სახით?

მაგალითები:

ცისკარმა აღმოსავლეთი ვარდისაფერათ შეღე-  
ბა. — ცა წითლათ, ყვითლათ ელავდა.—ბავშე-  
ბი ხმამაღლა ლაპარაკობენ.—ჩვენ ქვეითად  
მივდივართ.—აღმართ-აღმართ მივდიოდა მე ნე-  
ლა.

*დასრულებულია*

### წოდებითი სიტყვა (მიმართვა).

წოდებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას წინადა-  
დებაში წოდებითი სიტყვა ქვია, ან მიმართვა.

მაგალითები:

ბაღი-გამოდი, გუთანო! ღირღიტავ, ბანი უთხარო!  
— მულო, შენ გეუბნები, — რძალო, შენ გაიგონეო!  
— ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზო? — ჩიტო, ჩიტო, ჩიორა!  
— რაო, ბიტონო მელაო?

### ს ა ს ვ ე ნ ი ნ ი უ ნ ე ბ ი.

საუბრის ან კითხვის დროს აქა-იქ, სხვადასხვა  
აზრის გასარჩევათ, საჭიროა ხმის აწევა ან დაშვება,

შეჩერება, შესვენება; შესასვენებელ ადგილას და-  
ისმის სხვადასხვა ნიშანი, რომელსაც სასვენი ნიშ-  
ნები ქვია.

სასვენი ნიშნები ათნაირია:

- |                       |                              |
|-----------------------|------------------------------|
| 1) ; (მძიმე)          | 6) : (ორწერტილი)             |
| 2) . (წერტილი)        | 7) () (ფრჩხილები)            |
| 3) ; (წერტილ-მძიმე)   | 8) „ ან «» (ბრჭყალები)       |
| 4) ? (კითხვის ნიშანი) | 9) — (ხაზი ან ტირე)          |
| 5) ! (გაკვირვ. ნიშ.)  | 10) - ან - (გადასატანი ნიშ.) |

როცა რამდენიმე სხვადასხვა საგანი ან მოქმე-  
დება ერთად ჩამოთვლილი, მათ შორის მძიმეები  
დაისმის:

შათამი, ბატი, ინდოური, იხვი და ფარშავანგი  
შინაური ფრინველები არიან; — ბავშვები ხან სწერენ.  
ხან კითხულობენ, ხან თამაშობენ.

მძიმე აგრეთვე დაისმის, როცა აზრი იწყება  
კავშირებით: **რომ, როდესაც, რადგანაც, მაგრამ**, —  
აგრეთვე ნაცვალსახელით **რომელიც**; მძიმე ამ შე-  
მთხვევაში ამ სიტყვების წინ დაისმის:

ეს ყველამ ვიცით, **რომ** მგლები გაუმაძლარე  
არიან. — პაცი მაშინ გაიგებს ყველაფერს, **როდესაც**  
(როცა) სწავლაში გაიწრთვნება. — ეს ბავში ვერაფერს  
სწავლობს, **რადგან** მასწავლებელს ყურსარ უგდებს.  
— ავათა ვარ, მაგრამ **მაინც** ვშრომობ. — შველას  
ახსოვს **თამარი, რომელიც** მეთორმეტე საუკუნეში  
მეფობდა.

2. კითხვის ნიშანი მაშინ დაისმის, როცა წი-  
ნადადებით რამე კითხვა გამოიხატება:

სად მიდიხარ?  
როდის მოხვედი?

ვინა სთქვა?  
რა გქვია სახელათ?

3. **მრწერტილი** მაშინ დაისმის; როცა უნდათ ჩამოთვალონ **სხვადასხვა საგნი**; ამ შემთხვევაში მრწერტილის წინ დაისმის ან იგულისხმება სიტყვა **შემდეგი**:

მე ვნახე (შემდეგი) ქალაქები: **თფილისი**, **მუთაისი**, **შოთი**, **მზურგეთი**.

4. **წერტილი** იმ წინადადებათა შორის დაისმის, რომელთაც ერთმანეთ შორის ან სულ არაფითარი კავშირი აქვთ, ან აქვთ კავშირი, მაგრამ ერთობ შორეული, — მაგალითად:

ერთი მელა სოფელ-სოფელ დაცუნცულობდა. ერთ ალაგას ლილით სავსე სამღებრო ქვევრი პირლია დარჩენილიყო. იქა-აქ სიარულის დროს მელა ქვევრში ჩავარდა და შავათ შეღებილი შეიქნა. დაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა.

5. **წერტილ-მძიმე** იმ გავრცელებულ მთავარ წინადადებათა შორის დაისმის, რომელნიც აზრით ერთმანეთთან არც ისე შორს არიან, რომ წერტილი დაისვას, და არც ისე ახლოს, რომ — მძიმე; განსაკუთრებით აღწერაში, — მაგალითად:

ნახეს უცხო ვინმე ვაჟი, რომელიც მდინარის პირას იჯდა და სტიროდა; ლომგმირ ვაჟკაცს შავი ცხენი სადავით ხელში ეჭირა; ლაგამ-აბჯარ-უნაგირი მარგალიტებით მორთული ქონდა; დამწვარი გულიდან მონადენ ცრემლს ვარდისფერი ლოყები დაეთრთვილა („ვეფხ.“).

**ხ ა ზ ი ს ა უ ბ ა რ შ ი .**

მოთხრობაში, როცა მომქმედი პირების საუბა-

შეჩერება, შესვენება; შესასვენებელ ადგილას და-  
ისმის სხვადასხვა ნიშანი, რომელსაც სასვენი ნიშ-  
ნები ქვია.

სასვენი ნიშნები ათნაირია:

- |                       |                              |
|-----------------------|------------------------------|
| 1) ; (მძიმე)          | 6) : (ორწერტილი)             |
| 2) . (წერტილი)        | 7) () (ფრჩხილები)            |
| 3) ; (წერტილ-მძიმე)   | 8) „ „ ან « » (ბრჭყალები)    |
| 4) ? (კითხვის ნიშანი) | 9) — (ხაზი ან ტირე)          |
| 5) ! (გაკვირვ. ნიშ).  | 10) - ან - (გადასატანი ნიშ.) |

როცა რამდენიმე სხვადასხვა საგანი ან მოქმე-  
დებაა ერთად ჩამოთვლილი, მათ შორის მძიმეები  
დაისმის:

ჭათამი, ბატი, ინდოური, იხვი და ფარშავანგი  
შინაური ფრინველები არიან;— ბავშვები ხან სწერენ.  
ხან კითხულობენ, ხან თამაშობენ.

მძიმე აგრეთვე დაისმის, როცა აზრი იწყება  
კავშირებით: რომ, როდესაც, რადგანაც, მაგრამ,—  
აგრეთვე ნაცვალსახელით რომელიც; მძიმე ამ შე-  
მთხვევაში ამ სიტყვების წინ დაისმის:

მს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძლარო  
არიან.— ქაცი მაშინ გაიგებს ყველაფერს, როდესაც  
(როცა) სწავლაში გაიწრთვნება.— ეს ბავში ვერაფერს  
სწავლობს, რადგან მასწავლებელს ყურს არ უგდებს.  
— ავათა ვარ, მაგრამ მაინც ვშრომობ — შველას  
ახსოვს თამარი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში  
მეფობდა.

2. კითხვის ნიშანი მაშინ დაისმის, როცა წი-  
ნადადებით რამე კითხვა გამოიხატება:

სად მიდიხარ?  
როდის მოხვედი?

ვინა სთქვა?  
რა გქვია სახელათ?

3. **ორწერტილი** მაშინ დაისმის, როცა უნდათ ჩამოთვალონ **სხვადასხვა საგნი**; ამ შემთხვევაში ორწერტილის წინ დაისმის ან იგულისხმება სიტყვა **შემდეგი**:

მე ვნახე (შემდეგი) ქალაქები: **თფილისი, მუთაისი, შოთი, მზურგეთი.**

4. **წერტილი** იმ წინადადებათა შორის დაისმის, რომელთაც ერთმანეთ შორის ან სულ არაფითარი კავშირი აქვთ, ან აქვთ კავშირი, მაგრამ ერთობ შორეული, — მაგალითად:

მართი მელა სოფელ-სოფელ დაცუნცულობდა. მრთ ალაგას ლილით სავსე სამღებრო ქვევრი პირლია დარჩენილიყო. იქა-აქ სიარულის დროს მელა ქვევრში ჩავარდა და შავათ შეღებილი შეჩიქნა. ღაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა.

5. **წერტილ-მძიმე** იმ გავრცელებულ მთავარ წინადადებათა შორის დაისმის, რომელნიც აზრით ერთმანეთთან არც ისე შორს არიან, რომ წერტილი დაისვას, და არც ისე ახლოს, რომ — მძიმე; განსაკუთრებით აღწერაში, — მაგალითად:

ნახეს უცხო ვინმე ვაჟი, რომელიც მდინარის პირას იჯდა და სტიროდა; ლომგმირ ვაჟკაცს შავი ცხენი სადავით ხელში ეჭირა; ლავამ-აბჯარ-უნაგირი მარგალიტებით მორთული ქონდა; დამწვარი გულიდან მონადენ ცრემლს ვარდისფერი ლოყები დაეთრთვილა („ვეფხ.“).

**ხ ა ზ ი ს ა უ ბ ა რ შ ი .**

მოთხრობაში, როცა მომქმედი პირების საუბა-

რია მოყვანილი, იმის შავიერ, რომ დაასახელონ—  
ამ კაცმა ეს უთხრა, ამათ ეს უპასუხა, — თითოეუ-  
ლი მოსაუბრის სიტყვების წინ დიდი ტარე (—)  
დაისმის, — მაგალითად:

— შენი სახელი, ძმობილო? — მკითხა მან.

— ბაბრიელი. — შენი? — ახლა მე ვკითხე.

— ბლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაქველი. — შენა?

მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ.

(ილ. შავკ. „ბლახის ნაამბობი“).

### სასვენი ნიშნები წოდებით სიტყვაში.

წოდებითი სიტყვა (მიმართვა) წინადადების  
ან თავში დაისმის, ან შუაში, ან ბოლოში.

თუ მიმართვა თავში ზის, მიმართვას შემდეგ  
მძიმე დაისმის: ჩემო ანდრო, უსწავლელი ადამიანი  
გონებადახშულია.

როცა მიმართვა შუა წინადადებაშია, წინაც  
მძიმე დაესმის და ბოლოშიც: უსწავლელი ადამიანი,  
ჩემო ანდრო, გონებადახშულია.

როცა წოდებითი სიტყვა წინადადების ბოლო-  
ში ზის, წინ მძიმე დაესმის და ბოლოს — გაკვირვების  
ნიშანი: უსწავლელი ადამიანი გონებადახშულია, ჩე-  
მო ანდრო!

## დამატება და განსაზღვრება ნათეს. ბრუნვაში.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი დამატება მაშინ არის, როცა ზმნაზეა დამოკიდებული, და განსაზღვრება — როდესაც არსებით სახელზე.

### დ ა მ ა ტ ე ბ ა:

ამ ბავშს დედ-მამის ეშინია.  
მოსწავლეს მასწავლებლის ერიდება.

### გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე ბ ა:

მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა.  
მყინვარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

### მ ი მ ა ტ ე ბ ა.

როცა არსებითი სახელი არსებით სახელითვე განისაზღვრება, ამისთანა განსაზღვრებას მიმატება ეწოდება.

### მაგალითები:

ჩამოართვეს ქართლი, მისცეს მრეკლეს ძეს კოსტანტინეს; — საქართველოში პირველი ქართული სტამბა ვახტანგ მეექვსემ, ქართლის მეფემ, გამართა; — ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

## ზემასმენელის უეთანხმება ძვემდებარესთან.

ქართულ ენაში მრავლობითი რიცხვის ქვემდე-



ბარესთან შემასმენელი ყოველთვის მრავლობითად არ იხმარება.

**შემასმენელი ამ შემთხვევაში მხოლოდობით რიცხვში დაისმის:**

ა) თუ ქვემდებარე უსულო საგანია და პირველი დაბოლოებით (ები) არის ნაბრუნები:

მთები თოვლით დაიფარა;

ეს ხეები ძალიან გაიზარდა;

ბ) სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან:

ჩემი დედ-მამა აქ ცხოვრობს;

გ) რიცხვით სახელთან:

ასი კაცი ერთად მიდის; ათასმა კაცმა მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხა.

\*\*

**შემასმენელი მრავლობით რიცხვში დაისმის:**

ა) როცა მრავლობითი რიცხვის ქვემდებარე სულიერი საგანია:

ბავშვები კარგათ სხედან;

ძაღვები ნადირს უყეფენ;

ბ) როცა წინადადებაში სულიერი საგნის მხოლოდობითი რიცხვის რამდენიმე ქვემდებარეა:

დედა, მამა და შვილი ოფილისს წავიდენ;

გ) როცა უსულო საგნის ქვემდებარე მეორე დაბოლოებით (ნი) არის ნაბრუნები:

მთანი თოვლით დაიფარენ;

ეს ხენი ძალიან გაიზარდენ;

დ) როცა სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია, პირველი მხოლოდობით რიცხვში დაისმის, დანარჩენი კი — ყველა მრავლობითში: და-ძმა ერთად ცხოვრობს, დიღ-დიღო-

ბით შკოლაში დადიან, ნასადილევს კი ყმაწვილებს  
ასწავლიან და ამით თავს ირჩენენ.

### მთავარი და დამოკიდებული წინადადება.

ბავშები გრძნობენ, რომ მასწავლებელს მათი  
ხასიათი მოსწონს.

აქ ორი წინადადებაა: 1) „ბავშები გრძნობენ“  
და 2) „რომ მასწავლებელს მათი ხასიათი მოსწონს“.

მეორე წინადადება ცალკე რომ ავიღოთ, აზრი  
გასაგები არ იქნება; იმის აზრს მაშინ გავიგებთ,  
როცა მასთან პირველ წინადადებას ვიტყვით.

ამ სახით, მეორე წინადადების აზრი პირველ  
წინადადებაზეა **დამოკიდებული**.

პირველი წინადადების აზრი (ბავშები გრძნო-  
ბენ) ცალკე, თავისთავათ არის გასაგები: ამისთანა  
წინადადებას **მთავარი წინადადება** ქვია;—მეორე  
წინადადების აზრი ცალკე გასაგები არ არის, მთავარ  
წინადადებაზეა **დამოკიდებული**: ამისთანა წინადადებ-  
ას **დამოკიდებული წინადადება** ეწოდება.

### მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

შველამ იცის, რომ სწავლა სასარგებლოა.—  
მშობლებს უხარიათ, რომ მათი შვილები კარგი  
ზნის არიან.—ყმაწვილმა მხოლოდ ის წიგნი უნდა  
წაიკითხოს, რომელიც სასარგებლოა.—**ორი** ყური  
და ერთი ენა იმისთვის გვაქვს, რომ ბევრი მოვისმინოთ  
და ცოტა ვილაპარაკოთ.—**როდესაც** **შარნა-**  
**ოზი** გამეთდა. საქართველოში წერა-კითხვა პირველ-  
ლათ შემოიღეს.

### რამდენია დამოკიდებული წინადადება?

დამოკიდებული წინადადება იმდენივეა, რამდენიც არის წინადადების მეორე ხარისხის ნაწილი.

წინადადების მეორე ხარისხის ნაწილებია:

აგრეთვე დამოკიდებული წინადადებაც არის:

1. დამატება
2. განსაზღვრება
3. ადგილის გარემოება
4. დროის „
5. მიზეზის „
6. მიზნის „
7. ვითარების „

1. დამატებითი
2. განსაზღვრებითი
3. ადგ. გარემოებითი
4. დროის „
5. მიზეზის „
6. მიზნის „
7. ვითარების „

### დამატებითი დამოკიდებული წინადადება.

გონიერი ბავშვები კარგათ ხედვენ, რომ მასწავლებელს მათთვის კეთილი სურს.

ამ მაგალითში მეორე წინადადება დამოკიდებულია პირველზე: პირველი მთავარია, მეორე — დამოკიდებული.

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, განსაზღვრებითი თუ გარემოებითი — ამას კითხვით გამოვიცნობთ. კითხვაში მთელათ შედის ის წინადადება, რომელზედაც გასარჩევი წინადადებაა დამოკიდებული, — მხოლოდ რამე შესაფერი საკითხავი სიტყვა უნდა მივუმატოთ.

დამოკიდებულ წინადადებებს იმისთანა ხასიათის კითხვები უნდა ხოლომე, როგორიც წინადადების მეორე ხარისხის ნაწილებს.

ზევით მოყვანილის დამოკიდებული წინადადების კითხვაში შევა მისი მთავარი წინადადება („გონიერი ბავშები კარგათ ხედვენ“), რომელსაც აქ, აზრის მიხედვით, უნდა დავუმატოთ საკითხავი სიტყვა რას:

**რას ხედვენ გონიერი ბავშები?**

პითხვა რას დამატების კითხვაა; მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადადება (რომ მასწავლებელს მათთვის ძეგთილი სურს) — დამატებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება იმისთანა ზმნებს შემდეგ დაისმის, რომელიც ნიშნავს ან გრძნობას (მაგალ.: ვგრძნობ, ვწუხვარ, მიხარია და სხ.), ან ცოდნას (მაგალ.: ვიცი, შევიტყვე, გავიგე და სხვ.), ან მბობას (მაგალ.: ამბობენ, გადმოგვცეს, ხმა დაყარეს და სხვ.).

**მაგალითები:**

ბავშმაც კი იცის, ვინ არის ძაკო. — მნახე, რომ ქვეყნათ ჩამოსულიყვენ ნინო, ძეთევანი და თვით თამარი. — ძალენდარში სწერია, რომ წრეულს დიდი ზამთარი იქნებაო. — უსწავლელთ ახლაც არა სჯერათ, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. — ზარმაცი მოსწავლე ფიქრობს, თითქო მასწავლებელი მისი მტერი იყოს.

რა კითხვა უნდა აქ მოყვანილს თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

**ბანსაზღვრავითი დამოკიდებული წინადადება.**

„ვეფხის-ტყაოსანი“ დაუწერია შოთას, რომელიც თამარის დროს ცხოვრობდა.

ამ მაგალითში მეორე წინადადება დამოკიდებულია პირველზე; პირველი მთავარი წინადადებაა, მეორე კი დამოკიდებული.

ამ დამოკიდებული წინადადების სრული კითხვა იქნება: რომელ შოთას დაუწერია „ვეფხის-ტყაოსანი“? — კითხვა რომელი განსაზღვრების კითხვაა, — მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადადება (რომელიც მამარ მეფის დროს ცხოვრობდა) არის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ხშირათ მთავარი წინადადების თავშია მოქცეული, — მაგალითად:

შოთა რუსთველი, რომელსაც „ვეფხის ტყაოსანი“ დაუწერია, მამარ მეფის დროს ცხოვრობდა.

ამ მაგალითში მთავარი წინადადებაა: „შოთა რუსთველი მამარ მეფის დროს ცხოვრობდა“, — შუაში ჩართულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იწყება ნაცვალსახელით რომელიც; ზოგჯერ კი რომელიც-ის მაგიერ რომ იხმარება, — მაგალითად:

„აი რას ამბობს ის გმირი, შენ რომ ბოჩოლა გგონია“.

ამ მაგალითში „შენ რომ ბოჩოლა გგონია“ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა (კითხვა: რომელი გმირი ამბობს?) — რომ-ის მაგიერ შეიძლება რომელიც ვიხმაროთ — და მაშინ იქნება:

აი რას ამბობს ის გმირი, რომელიც შენ ბოჩოლა გგონია.

მაგალითები:

პრულ-იყოს იმის სახელი, ვინც (რომელმაც) მთა ვასცვალოს ბარზედა!—მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენს წინა!—შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის არის ძეგლი გმირისა. —სადაც სიყრმითვე ჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არის!—ნისლი, რომელიც მთის წვერზე წყნარათ მოცურავდა, ჯიხვს მიუახლოვდა.—მეფეს ერთი ვეზირი ყავდა, სახელათ სედრაქი (იგულისხმება: რომელსაც ერქვა)“.

რა კითხვა უნდა აქ თათოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

სასვენი ნიშნები დამატებითსა და განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში

1. დამოკიდებული წინადადება თავისი მთავარი წინადადებისაგან მძიმეთი (,) გაიყოფება.—თუ დამოკიდებული წინადადება რომ-ით ან რომელიც-ით იწყება, მძიმე რომ-ისა და რომელიც-ის წინ დაისმის;

უველამ გაიგო, რომ დედამიწა რგვალია;—ქოლუკბმა აღმოაჩინა ქვეყანა, რომელიც ველურებით იყო მოსახლებული.

2. როცა დამოკიდებული წინადადება მთავარის შუაშია მოქცეული, წინაც მძიმე უზის და უკანაც:

ვახტანგ ზორგასლანმა იმ ადგილას, სადაც თფილი წყლები ნახა, ქალაქი თფილისი ააშენა.

3. თუ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება რომ-ით არის გამოთქმული, მძიმე რომ-ის წინ კი არ დაისმის, არამედ იქ, სადაც დამოკიდებული წინადადება იწყება, ან სადაც თავდება:

აი რას ამბობს ის გმირი, **შენ რომ ბოჩოლა გგონია;** — **შენ რომ ბოჩოლა გგონია,** ის არის ძველი გმირისა.

### ჩ ა რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .

ჩართული წინადადება იმ წინადადებას ეწოდება, რომელიც სასაუბრო საგანს პირდაპირ არ ეხება, არამედ ჩაემატება, ჩაერთვის წინადადებას შუაში ან ბოლოში და, სხვათა შორის, აზრს რამდენათმე განმარტავს:

თვალს არ აშორებს ამ ყვავს მელია (აბა შიმშილი ასე ძნელია!) — ბლექის თქმის არ იყოს, ძრისტე ლმერთს თავისი კალთა ჩვენში დაუბერტყია. თურმე ნუ იტყვიოთ — ლუარსაბს ბუზები დაეთვალია.

ჩართულ წინადადებას ეკუთნიან შემდეგი მოკლე გამოთქმანი: ასე გაშინჯეთ, რა საკვირველია, თქმა არ უნდა, ლმერთს გეფიცები, მართალი მოგახსენო და სხვ.

**შენიშვნა.** ჩართული წინადადება ან ფრჩხილებში ჩაისმის, ან მძიმეებში, ან ხაზებს შორის (იხ. მაგალითები ზევით).

### შემოტანილი წინადადება.

შემოტანილი წინადადება იმისთანას ქვია, რომელიც სხვისგან წარმოთქმულ აზრს წარმოადგენს:

დედამ შეილს უთხრა: „შეილო, გულმოდგინეთ ისწავლე და სამშობლო ენას ნუ დაივიწყებ, თუ გინდა შენს ქვეყანას გამოადგეო“. შბძანა: „ნუ სტირ, ძსულო!“ — ვეზირთა კადრეს: „მეფეო, რათ ბრძანეთ თქვენი ბერობა“?

შენიშვნა. შემოტანილ წინადადებას თავსა და ბოლოში ბრჭყალები უნდა.

### გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იმდენივეა, რამდენიც არის წინადადებაში გარემოება, — ე. ი. ხუთი: ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის და ვითარების.

#### I. ადგილის გარემოებითი დამოკიდ. წინადადება.

სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდება.

ამ მაგალითში პირველი წინადადება მეორეზეა დამოკიდებული; მაშასადამე, დამოკიდებულის კითხვა იქნება:

სად ნუ დაგავიწყდება ჩემიც?

ეს კითხვა გვიჩვენებს, რომ „სადაც შენი სთქვა“ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

მაგალითები:

შბედური, საითაც გაიქცა, იქით წაიქცაო. — სა-



დაც არაფერი მტკვარს შეერთვის, იქ ერთხელ ქართველთა სიცოცხლე დუღდა. — სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან.

რა კითხვა უნდა აქ თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

## II. დროის გარემოებითი დამოკიდ. წინადადება.

რა ესმა ესე ბუღბუღსა, შესძახა თავისებურათ.

აქ პირველი წინადადება მეორეზეა დამოკიდებული; მისი სრული კითხვა იქნება:

როდის შესძახა თავისებურათ?

მაშასადამე, რა ესმა ესე ბუღბუღსა არის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მაშინ იხარებს მწიღნავი, ოდეს მოისთვლის ტევნებსა. — რომ ვინმე ჩიტათ მაქცევდეს, წამს გადავივლი მთებსაო. — ასიც რომ დამკრა, ხმასაც არ გაგცემ — ზამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო. — თუმცა ეს კაცი ხასიათით ბორბოტსა გავს, საგრამ უკულობით კეთილია.

როგორ იკითხავთ აქ თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

## III. მიზეზის გარემოებითი დამოკიდ. წინადადება.

ნადირის მოკვლა ცოდვაა, ამიტომ რომ ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება: რატომ არის ცოდვა ნადირის მოკვლა?

მაშასადამე, მეორე წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

მაგალითები:

ზაფხულში იმიტომ ცხელა, რომ მზე დედამიწას პირდაპირ დაყურებს. — ბავში შემდეგ კლასში იმის გამო (იმ მიზეზით) ვერ გადავიდა, რომ მუდამ ზარმაცობდა. — რადგანაც (ვინაიდან) თამარი გონიერი და ძლიევამოსილი მეფე იყო, (ამიტომ) მის დროს საქართველო აყვავდა.

რა კითხვა უნდა აქ თითოეულს დამოკიდ. წინადადებას?

#### IV. მიზნის გარემოებითი დამოკიდ. წინადადება.

მე კალამი მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული: — მისი სრული კითხვა იქნება: რისთვის მინდა მე კალამი?

ეს კითხვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

მაგალითები:

ეს ბავში ძლიერ მონდომებულათ სწავლობს, რომ მშობლები გაახაროს. — მგელი იმისთვის თარეშობს, რომ ცხვარი მოიტაცოს. — ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა. — წმინდა ნინო საქართველოს იმისთვის მოვიდა, რომ აქ ქრისტიანობა გაეფრცელებია. — ღარნაოზი ფარუ-

ლათ ჯარების მზადებას შეუდგა, რომ საქართველო  
მაკედონელთაგან გაეთავისუფლებია.

სითოეულის დამოკიდებულ წინადადების კითხვა?

## V. ვითარების გარემოებითი დამოკ. წინადადება.

ნავი ისე მოფრინავდა, რომ თვალს ვერ მი-  
სწევდით.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა  
დამოკიდებული; — მისი კითხვა იქნება: როგორ მი-  
ფრინავდა ნავი?

მაშასადამე, მოყვანილი დამოკიდებული წინა-  
დადება ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ  
წინადადება ყოფილა.

შენიშვნა. ვითარების გარემოებითი დამოკი-  
ბული წინადადება იწყება კავშირებით: რომ, რო-  
გორც რომ, როგორც, ვით, ვითარცა, თითქო.  
ხშირათ ამ კავშირებს მთავარ წინადადებაში ზმნი-  
სართი „ისე“ მიუძღვის.

### მაგალითები:

შიკრიკი ისე გაფრინდა, როგორც ტყვია. —  
ისე მოიქცევი, როგორც პატიოსან კაცს ეკადრებო-  
დეს. — სხედან, ვით დევნი. — მზის სხივი მთის მწვერ-  
ვალს აღერსით თავს ეხვეოდა, ვით ქალი მამას  
მოხუცსა. — საწყურრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი,  
უხთების.

რა კითხვა უნდა აქ თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

## სასვენი ნიშნები გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში.

დამოკიდებული წინადადება თავისი მთავარი წინადადებისაგან მძიმეთი (,) გაიყოფება:

თორმეტი წლისა მაშინ ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა; — უნ ბედში მყოფი რომ ძმათ მიგაჩნდეს, ეს ვერაფერი სიყვარულია.

როცა დამოკიდებული წინადადება რთული კავშირებით, იმიტომ რომ და მისთვის რომ-ით, არის გამოხატული, თუ რთული კავშირი ერთად არის, მაშინ მძიმე პირდაპირ მის წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ ვერ სწავლობს, იმიტომ რომ ზარმაცია.

თუ რთული კავშირი ისეა გაყოფილი, რომ პირველი ნახევარი (იმიტომ ან იმისთვის) მთავარ წინადადებაშია, და მეორე (რომ) დამოკიდებულში, მაშინ მძიმე რომ-ის წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ იმიტომ ვერსწავლობს, რომ ზარმაცია. — სიმდიდრე იმისთვის უნდა გვინდოდეს, რომ დაჩაგრულ მოძმეებს შევეწიოთ.

### არეული მაგალითები:

სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს. — მს ყმაწვილი რომ (როცა) გაიზარდა, ოჯახი ფეხზე დააყენა. — მოსწავლე შკოლიდან დაითხოვეს, რადგან ცუდი ყოფაქცევის იყო. — მს ბავშვები ცთილობენ, რომ სწავლა შეიძინონ. — ისე უნდა ვიქცეოდეთ, რომ ყველას ვუყვარდეთ. — მანო თავის ამხანაგს, როცა ის ავით იყო, თავდადებით უვლიდა. —

ივანე იმიტომ არის ღარიბი, რომ შრომა არ უყვარს; — ივანე ღარიბია, იმიტომ რომ შრომა არ უყვარს.

### სიტყვათა-წარმოება.

სიტყვები შედგენილობით იქნება მარტივი და რთული, პირველსახეობითი და წარმოებითი.

მარტივი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც ერთი ძირის ფორმისაგან შესდგება, მაგალითად: მამა, ძმა, ქალი.

რთული იმ სატყვას ეწოდება, რომელიც ორის ან მეტი ძირის ფორმისაგან არის შემდგარი, — მაგალითად: დედ-მამა, და-ძმა, ქალ-ვაჟი, შავთვალ-წარბა, თავდაბალი, გულკეთილი,

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

რთული სიტყვა შუახაზით მაშინ იწერება, როცა რითოეულ ძირს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: დედ-მამა (ე. ი. დედაც და მამაც), და-ძმა, ქალ-ვაჟი და სხვ. როცა რთულ სიტყვაში ერთი ძირი იხატება, შეერთებულადა იწერება ხოლმე (უხა-ხოთ): გულკეთილი, წყალწითელა, ცხენისწყალი, თავდადებული, ხმაგაკმედილი, თვალუწვდენელი, ავლადიდება და სხვ.

\*

პირველსახეობითი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს, ე. ი. რომელსაც არავითარი მაწარმოებელი ნაწილი არ აქვს მიმატებული, — მაგალითად: კაცი, თავი.

წარმოებითი იმ სიტყვას ქვია, რომელიც რამე მაწარმოებელი ნაწილაკით პირველსახეობითი ფორ-

მისაგან არის ნაწარმოები, — მაგალითად: კაცური, კაცობრიულ-, თავიანი, თა(ვ)ოსანი, სათავე, გათავებული,

სხვადასხვა ფორმის მაწარმოებელ ნაწილაკებს ჩასართები ქვია, ან სუფიქსები.

პირთი ძირისაგან, სხვადასხვა ჩასართის საშვალეებით, სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები კეთდება. — უკილოთ, მაგალითად, ძირი ხელ (ხელ-ი); აქიდან წარმოობს: ხელიანი, ხელოსანი, ხელოვანი, ხელობა, მოხელე, სახელო, ხელეური და სხვ.

სხვადასხვა სიტყვის-ნაწილს სხვადასხვა სუფიქსი აქვს.

1. არსებით სახელთა სუფიქსები:

უნ: ჩიტუნა (ჩიტუნია), წალღუნა, კაცუნა.

აქ: დანაკი, ქალაკი, გორაკი.

იქ: ივანიკა, ვარიკა, დედიკო.

უქ: ბარუკა, ცხენუკა, ბეჟუკა.

სა: სასახლე, საყელო, საქათმე.

მე: მეკარე, მეხრე, მემარნე.

მო: მოქალაქე, მოხვევე, მოხელე.

სი: სიკეთე, სიყმაწვილე, სიბერე.

ოზ: ქართველობა, ხელობა, ხელოსნობა.

მბ: ბედნიერება, ძლიერება, თავისუფლება.

მთ: ქახეთი, იმერეთი, სპარსეთი.

ეულ: სპილენძეული, რკინეული, ათეული.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

არსებითი სახელი, ზევით ჩამოთვლილი სუფიქსების შემწეობით, სხვადასხვა სიტყვის ნაწილისგან წარმოობს.

ა) ზმნებისგან: ყვარვა — სიყვარული, სურვა — სურვილი და სხვ.

ბ) მიმღეობისგან: მოყვანილი — მოყვანილობა, შედგენილი — შედგენილობა; — აგრეთვე თვით მიმღეობა ხშირათ იხმარება, როგორც არსებითი სახელი: მკითხავი, საჭამადი, საჯიბი, საწნახელი, საჭმელი, სასმელი და სხვ.

გ) არსებით სახელთაგანვე: გიორგობა, მარიამობა, სამეფო, საქართველო; ნასოფლარი, ნაქალაქევი; მეპურე, მეჩქმე; ძახეთი, სპარსეთი; მუხნარი, თხილნარი; რკინეული, სპილენძეული.

დ) ზედსართავ სახელთაგან: ბედნიერება, მშვენიერება; სითეთრე, სილამაზე, სისქე.

ე) რიცხვით სახელთაგან: ერთობა, სამება, ასეული, ათასეული.

ვ) ნაცვალსახელთაგან: ვინაობა, თვისება.

\*

2. ზედსართავ სახელთა სუფიქსები:

ოსან: ცხენოსანი, ჩოხოსანი, პატოსანი.

ოვან: ხელოვანი, გულოვანი, სახელოვანი.

იან: ბაღნიანი, ნაბღიანი, ქვიანი.

იერ: ბედნიერი, მშვენიერი, ხნიერი.

ელ: სოფლელი, ქალაქელი, ბარელი.

ურ\*): სოფლური, ქალაქური, მხეცური.

იურ: ღვთიური, ციური, მთიური.

მო: მოთეთრო, მოგძო, მომადლო, მოთფო.

სა: საყმაწვილო, საბავშო, საქალაქო, საბალო.

ით: ბუნებითი, არსებითი, კრებითი.

ებრ, ებრივ, მებრივ: ჩემებრი, ბუნებრივი, კაცობრივი.

დელ: გუშინდელი, შარშანდელი, მაშინდელი,

\*) მუ სიტყვას ძირში რ ახლავს, ურ-ულ-ათ იქცევა: ბურია — გურულ, თათარი — თათრულ, ბრიყვი — ბრიყული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

ზედსართავი სახელი, ზევით მოყვანილი სუფიქსების შემწეობით, სხვადასხვა სიტყვის ნაწილისგან წარმოიშობს:

ა) არსები სახელთაგან: ბედნიერი, მიწიერი, ჩოხოსანი, სახელოვანი, ტყიანი, საბავშო, საყმაწვილო.

ბ) ზედსართავ სახელთაგანვე: მოდიდო, მოთეთრო, ჭკვიანური, კაცობრიული...

გ) ზმნისართებისაგან: მაშინდელი, შარშანდელი, გუშინდლოური, შარშანდლოური.

დ) ნაცვალსახელთაგან: ჩვენებური, თქვენებური, ჩემებრივი, თქვენებრივი.

ჰ. სახელზმნის სუფიქსები:

შბ: გაკეთება, აშენება, დაწყება.

ოზ: შემკობა, დაწყობა, დასობა.

ოლ: თრთოლა, ჟრჟოლა, ბრძოლა.

ილ: კივილი, ჟივილი, წივილი.

შვ: გარევა, გარჩევა, გათრევა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

თითქმის ყოველი სიტყვის ნაწილისაგან შეიძლება, ზევით ჩამოთვლილ სუფიქსების შემწეობით, სახელზმნის წარმოება:

ა) არსებით სახელთაგან: ყმაწვილი—გაყმაწვილება, ბარი—დაბარვა;

ბ) ზედსართავ სახელთაგან: მალალი—ამალლება, თეთრი—შეთეთრება;

გ) ნაცვალსახელთაგან: ჩემი—მიჩემება, თვისი—მითვისება;

დ) რიცხვით სახელთაგან: ასი—გაასება, მეორე—გამეორება;



ე) ზმნისართებისაგან: ახლოს— დაახლოება, შორს— მოშორება, და სხვ.

\*

4. მიმღეობის სუფიქსები:

ელ: მწერელი, მკეთებელი, მხენელი.

ილ: დაწერილი, შეკერილი, გალესილი.

ულ: გაკეთებული, აშენებული, დაკარგული.

არ\*): მკბენარი, მაწყინარი, დამწვარი.

ნა: ნაშენები, ნაკეთები, განაკეთები.

### სიტყვის საფუძველი და ძირი

სიტყვის საფუძველი იმ ნაწილს ქვია, რომელიც თითოეულს გრამატიკულ ფორმაში არ იცვლება.

ავიღოთ, მაგალითად, ზედსართავი სახელი ბედნიერი. ეს სიტყვა რომ ვაბრუნოთ, ვნახავთ, რომ ნაწილი ბედნიერ ორივე რიცხვში უცვლელადაა რჩება; მაშასადამე, აღებული სიტყვის საფუძველი არის ბედნიერ.

სხვადასხვა ნაწარმოებ ფორმაში ერთი ძირის სიტყვას სხვადასხვა საფუძველი ექნება. მაგალითად, ზევითმოყვანილი სიტყვიდან ნაწარმოები ფორმებია:

ა) არსებითი სახელი ბედნიერება: საფუძველი იქნება ბედნიერებ.

ბ) მიმღეობა გაბედნიერებული: საფუძველი იქნება გაბედნიერებულ.

\*) ეს სახელზმნას ძირში რ ახლავს. სუფიქსი არ აღ-ათ იცვება. გაშრობა—გ ა მ შ რ ა ლ ი, გაქრობა—გ ა მ ქ რ ა ლ ი, ყვირილი—მ ყ ვ ი რ ა ლ ი, ტირილი—მ ტ ი რ ა ლ ი.

ბ) ზმნა აწმყო დროში ვბედნიერდები (ბედნიერდები, ბედნიერდება ლ სხვ.); საფუძველი იქნება ბედნიერდებ, და სხვ. და სხვ.

სახელებში საფუძველი ნათესაობით ბრუნვაში უნდა მოსძებნოთ: როცა დაბოლოებას ის (სი)-ს მოვაშორებთ, რაც დარჩება, ის იქნება საფუძველი; — მაგალითად:

ქედელი: ნათ. ბრ. კედლის, საფუძველია კედლ.

\*\*

სიტყვის ძირი იმ ნაწილს ქვია, რომელიც უცვლელათ რჩება ყოველგან, რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ.

სიტყვის ძირი ასე მოიძებნება: უნდა გავარჩიოთ აღებული სიტყვის თავი და ბოლო; რაც თავსა და ბოლოში მაწარმოებელი ნაწილაკები ჩამატებული აქვს, ყველა უნდა მოვაშოროთ, და რაც ამას შემდეგ დარჩება, ის იქნება წმინდა ძირი.

პვილოთ, მაგალითად, ფორმა გაბედნიერებული.

ამ სიტყვას თავში ახლავს თავსართი გა: ბოლოში ახლავს: ა) დაბოლოება ი, ბ) ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმდევობის სუფიქსი ულ, გ) სახელ-ზმნის სუფიქსი მბ, დ) ზედსართავი სახელის სუფიქსი იმრ და ე) კეთილხმოვანებისთვის ჩართული ხმა ნ. — ყველა ნაჩვენები მაწარმოებელი ნაწილაკი რო მოვაშოროთ, დარჩება წმინდა ძირი „ბედ.“ — აქიდან რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ ძირი ბედ ყოველგან უცვლელათ დარჩება:

ბედნიერი, უბედური, გაბედნიერება.

საბედნიერო, გაბედვა, გაუბედავი და სხვ.

## ლ ე ქ ს თ ა წ შ ო ბ ა .

ძართული სიტყვები გამოთქმაში ხმის ამაღლებას თხოულობს, მაგრამ ისე გამოჩენილათ არა; როგორც, მაგალითად, ფრანგულსა, რუსულსა და სხვა ენებში.

სიტყვაში ხმის ამაღლებას შემდეგი კანონი აქვს:

1) ორმარცვლოვან სიტყვებში ხმის ამაღლება ბოლოდან მეორე მარცვალზე მოხდება ხოლმე;

2) სამმარცვლოვანსა და საზოგადოთ მრავალმარცვლოვან სიტყვაში კი — ბოლოდან მესამე მარცვალზე:

ა) ძა'ცი. ქა'ლი, მა'მა, დე'და, უ'თო;

ბ) ძა'ცები, ქა'ლები, ა'ლდგომა, სიხა'რული, ბედნიე'რება.

\*\*

ძართული ლექსთაწყობა ხმის ამაღლებასედაც არის დაფუძნებული და მარცვალთა რაოდენობასედაც.

ლექსის თითოეულ სტრიქონს ტაქტი ეწოდება, ოთხ ტაქტს - ხანა.

დღევანდელ მწერლობაში განსაკუთრებით შემდეგი ლექსთაწყობა იხმარება:

1. შაირი (თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი),
2. ჩახრუხაული\*) (ოცმარცვლოვანი ლექსი),
3. მუსტაზადი (თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი),
4. თეჯლისი (თერთმეტმარცვლოვანი ლექსი)
5. ზაიათი (შვიდმარცვლოვანი ლექსი);

\*) ასე ეწოდება მე-12 საუკუნის მგონის ჩახრუხადის მწერლის მიერ შემოღებული იხმარა.

## 1. შ ა ი რ ი.

შაირი ორგვარია: მალალი და დაბალი. ორივეგვარი შაირის თითოეულ ტაეპში თექვსმეტ-თექვსმეტი მარცვალია, მაგრამ კეთხვაში სხვადასხვანაირი მუსიკა მოისმის.

(მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რა განსხვავებაც არის მათ შორის).

### ა. მალალი შაირის მაგალითი:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა;  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა;  
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდულრად ანატირსა.

### ბ. დაბალი შაირის მაგალითი:

მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთ თმა ვეფხის ტყავისა;  
ვეფხის ტყავსა ქუდივე იყო სარქმელი თავისა;  
ხელთა ნაჭერი მათრახი ჰქონდა უმხროსი მკლავისა;  
ნახეს—და ნახვა მოუნდათ უცხოთა სანახავისა.

ორივეგვარი შაირი (მალალიც და დაბალიც) მხოლოდ პოემებს შეშვენის, — იქ შეიძლება ზოგი ხანა მალალი იყოს და ზოგი დაბალი, როგორც, მაგალითად, დაწყობილია „ვეფხისტყაოსანი“; პატარა ლექსს კი სხვადასხვა ზომა არ შეშვენის: ის ან მთელათ მალალი შაირით უნდა იყოს დაწყობილი, ან მთელათ დაბალი შაირით.

\*\*

შაირი ახალ მწერლობაში ისე ხშირათ არ იხმარება, როგორც რვეული.

რვეული წარმოადგენს შემოკლებულ შაირს: თითოეულ ტაეპში რვა-რვა მარცვალია, — მაგალ.:

ჭრელი პეპელა დაათრო

მას მიეპარა ყმაწვილი,  
ლაიჭირა და იამა.

## 2. ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი .

ჩახრუხაულის ზომით შეიძლება ოთხგვარი ლექსი დაიწეროს: 1) ოცმარცვლიანი ტაეპი, 2) თუთხმეტმარცვლიანი, 3) ათმარცვლიანი და 4) ხუთმარცვლიანი.

მაგალითები:

1. ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!  
ნუ დამიტყროს სატრფომ გულისა, ნუცა დამეცეს ცრემლი მწუხარის!  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს! მდელთა შორის ტილის მინდვრის—  
და ქარრშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის...

2. ქართლსა ვიხილე ქალთა მეფაი, ტურფა ღიანა;  
ქეკლუცი. ნაზი. ბადრი და ნორჩი, კეთილხმიანა;  
მას ედღობილე, თყვანსა ვსცემდი ძმიან-ღიანა,—  
მაგრამ შავბედმა, მრისხანე ხვედრმა დამაზიანა

3. შიქრმა და დარდმა სულ დამადუნა,  
ადრე დამაჰკნო, დამაძაბუნა;

მრმოდდაათმა წელმა გამდუნა,  
პისერში მაგრათ ჩამიკაკუნა.

ან მარტო ორრითმიანი (მეორესა და მეოთხე დაეპში):

ბაკვეთე ქარი, გააპე წყალი.

ბადაიარე კლდენი და ღრენი!

ბასწი, ვაკურცხლე—და შემიმოკლე

მოლოძინილსა საილოძინსა...

ბანა არ ვიცი!  
შენ ჯერ ნორჩი ხარ,  
მე კი მოხუცი!..

### 3. მუსტაზადი.

მუსტაზადის თითოეული ტაეპი თოთხმეტი  
მარცვლისაგან შესდგება, — მაგალითად:

მარბის, შიმაფრენს უგზო-უკვლოთ ჩემი მერანი;  
შკან მოჩხავის თვალბედითი შავი ყორანი.

### 4. თეჯლისი.

თეჯლისის თითოეულ ტაეპში თერთმეტი  
მარცვალია, — მაგალითად:

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა;  
სერზე შევდექ, ჭკუნვის ალი მენელა...

### 5. ბაიათი.

ბაიათის თითოეულ ტაეპში შვიდი მარცვალია:  
მოდო, ჩემო კალამო!  
ღრო არს მოგესალამო.  
და შენით შევიმზადო  
წყლული გულის მალამო.



494.63

6931

ბიზოვთ გაასწოროთ!

დაბეჭდილია: 1) კ—90, ე—00 (4 გვ), 2) უცვალე-  
ლებულია (14), 3) მშენებრათ (18), 4) ზმისართი (30),  
5) სსერონ (36), 6) ვშრვებოდი (38), 7) თქვენ იყავით (43),  
8) მეოთხე (48), 9) პირველ (55), 10) დამოკიდებული (56),  
11) შმიდა ნინო (63), 12) დამოკიდებული (64).

უნდა იყოს: 1) კ—80, ე—90, 2) უცვალელებულია,  
3) მშენებრათ, 4) ზმისართი, 5) სსერონ, 6) ვშრვებოდი,  
7) თქვენ იყავით, 8) მეოთხე, 9) პირველ, 10) დამოკიდე-  
ბული, 11) შმიდა ნინო, 12) დამოკიდებული.

494.63

6931

ფანი მანეთი.